შირაქი

SHIRAKI

www. open.ge

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№30 (9.644)

16-23 აგვისტო 2014 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

„ჩემი სურვილია, ყველანაირი ბიუროკრატია მოიშალოს“

ნიკოლოზ ჯანიაშვილი პირველი პირდაპირი წესით არჩეული გამგებელია. მას, საკრებულოს შემდეგ, დედოფლისწყაროელ ამომრჩეველთა 87%-ზე მეტმა დაუჭირა მხარი, რაც ქვეყნის მასშტაბით ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. სხვათაშორის, ჯანიაშვილმა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე უფრო მეტი ხმა მიიღო, ვიდრე „ქართულმა ოცნებამ“.

მუნიციპალიტეტში არსებულ პრობლემებზე, დღევანდელობისა და სამომავლო გეგმებზე გაზეთ „შირაქს“ გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ესაუბრა.

- ბატონო ნიკოლოზ, თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ საჯარო მოხელეთა ატესტაციის პროცესი დგება დღის წესრიგში. დაახლოებით, როდის იგეგმება დედოფლისწყაროში ატესტაციის ჩატარება?

- კანონის მოთხოვნაა, რომ ყველა საჯარო პირი, რომელიც არ არის თანამდებობის პირი, ატესტაციას ექვემდებარება. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საჯარო მოხელეები ყოველთვის ფორმაში იყვნენ, ფეხი აუწყონ გავნითარების რიტმს, იცნობოდნენ სიახლეებს, კანონმდებლობაში შესულ ცვლილებებს და მოთხოვნებს. მეორეს მხრივ, იმ ადამიანებს, რომლებიც არ მუშაობენ, ან კერძო სექტორში არიან დასაქმებულნი, ეძლევათ შესაძლებლობა, რომ საკუთარი ძალები მოსინჯონ და საჯარო სამსახურში დასაქმდნენ.

ატესტაციის ჩატარების ბოლო ვადად 3 ნოემბერია განსაზღვრული, თუ ცვლილება არ შეიტანეს, ალბათ, ატესტაციის პროცესი ნოემბრამდე დასრულდება. იმის გამო, რომ დამატებითი კითხვები არ გაჩნდეს, პროცესი უფრო გამჭვირვალედ წარიმართოს და ნდობის ხარისხი ამაღლდეს, ატესტაცია ცენტრალიზებულად უნდა ჩატარდეს და საჯარო მოხელეები პროცესს თბილისში გაივლიან. პროცესს ორგანიზებას სამინისტროები გაუწევენ. ყველას მიეცემა საშუალება, თავისი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინოს. პირადად მე, ატესტაციის ცენტრალიზებული წესით ჩატარებას მივესალმები, რადგან რეგიონებში ცოტა სხვაგვარად აღიქვამენ ამ პროცესს და აღარ იქნება ეჭვები, რომ ვინმეს რამე დააკლეს, ან მოუმატეს. ასე ჩატარება ორმაგად სასარგებლოა. ჩემთვის, როგორც ხელმძღვანელისთვის, კარგია, რადგან შეირჩევა საუკეთესო კადრები. კარგია მათთვისაც, ვინც ატესტაციას გაივლის, რადგან თავისუფალი კონკურენციის ფარგლებში იმოქმედებს და კარგად მოემზადება. ამჟამად მოქმედ საჯარო მოხელეებს შეუძლიათ ატესტაციის გავლით თავისი ადგილი დაიცვან და იმავე ადგილზე იბრძოლებენ სხვა კანდიდატებიც.

ატესტაციის ჩატარებისკონკრეტული მითითება არ არსებობს. აგვისტო დასვენების პერიოდია და ალბათ, სექტემბრიდან ჩატარდება, თუმცა სხვა დეტალები უცნობია. რადგან ცენტრალიზებული წესით ტარდება, შესაძლებელია, ერთიანი გრაფიკი გაიწეროს მუნიციპალიტეტების მიხედვით. შესაძლოა, 3 ნოემბრამდე მუნიციპალიტეტების მიერ თავად მოხდეს ამ თარიღის განსაზღვრა. თუმცა, რაღაც პერიოდით ადრე მოხდება თარიღის მედიასაშუალებებში გამოცხადდება.

- ცნობილია, რომ მოსახლეობას ამგვარი კონკურსების მიმართ უნდობლობა აქვს და ბევრი მათგანი მიიჩნევს, რომ ვაკანსიების დაკომპლექტება, ყველაფრის მიუხედავად, მაინც სასურველი კადრებით ხდება...

- რა თქმა უნდა, არის მოსახლეობაში ეს განწყობა. სწორედ ამიტომ, მივესალმები, რომ ამჯერად ატესტაცია თბილისში შედგეს და მე, ჩემის მხრივ, შემიძლია სახალხოდ დავდო პირობა, არავის არ შევუქმნით ბარიერებს. დედოფლისწყარო პატარა რაიონია და ყოველთვის შეიძლება საერთო ნაცნობის გამონახვა და რაღაც კუდების გამობმა. კარგია, რომ ამჯერად დამატებით გაუგებრობებს თავიდან ავიცილებთ და ატესტაციას ძალიან კომპეტენტური სამსახურები თბილისში ჩაატარებენ. არ მგონია, რომ იმ პროცესში, სადაც მინისტრებიც იქნებიან ჩართული, რაიმე მიკერძოებულობა და არაობიექტურობა დაფიქსირდეს.

- რა ცვლილებები შეეხო სოფლებს?

- მოგეხსენებათ, საკანონმდებლო ცვლილებები იყო, გაუქმდა სოფლის ტერიტორიული ორგანოები და მათ ადმინისტრაციული ორგანო ეწოდა. სოფლის რწმუნებულს ამიერიდან გამგებლის წარმომადგენელი ერქმევა. დედოფლისწყაროს სოფლებში იგივე კადრები შენარჩუნებულია, რადგან ისინი სრულად აკმაყოფილებენ იმ მოთხოვნებს, რაც მათ მიმართ გვაქვს. ყველა მათგანი დაკისრებულ მოვალეობას თავს კარგად ართმევს, ამიტომ საფუძველი არ გვქონდა, რომ ისინი შეგვეცვალა. სპეციალისტები დროებით გათავისუფლდნენ, თუმცა 44-ივე მათგანი 1 აგვისტოდან ხელშეკრულებით ხელახლა ავიყვანეთ. ყველა მათგანმა უნდა გაიაროს ატესტაცია და ვინც კომპეტენციას ვერ გადალახავს, დავემშვიდობებით და მათ ადგილს სხვა დაიკავებს.

- მათი ფუნქციები ხომ არ შემცირდა?

- პირიქით, კანონი გვაძლევს საშუალებას, რომ უფრო მეტი ფუნქცია ჰქონდეთ. თუ ადრე კანონი მკაცრად გვზღუდავდა, რომ თითოეულ ჩვენს მოქალაქეს უფრო ოპერატიულად თავისსავე სოფელში მოვმსახურებოდით, წვრილმანი დეტალები ადგილზე გადაგვეწყვიტა, ახლა კანონი განმარტავს, რომ გამგებლის წარმომადგენელი ასრულებს სოფელში გამგებლის დავალებებს. ვფიქრობ უფრო მოქნილი და იოლი იქნება ეს სისტემა, რაც ბევრად გააიოლებს მოქალაქეებთან ურთიერთობას. რაც მთავარია, ჩვენ მოწოდებულნი ვართ, რომ ვემსახუროთ მოქალაქეებს და მიგვაჩნია, რომ წვრილმანი დეტალები, რისი მოგვარებაც სოფელში შეიძლება, ადგილზევე უნდა გადაიჭრას, რომ მოქალაქეს ელემენტარული ცნობების ასაღებად რაიონულ ცენტრში რამდენჯერმე ამოსვლა აღარ უხდებოდეს. რაც მთავარია, კანონი გვაძლევს ამის უფლებას, რომ დებულების თანახმად, გამგებლის დავალებით, ეს უფლებები მიენიჭოთ და შესაბამისად იმოქმედონ გამგებლის წარმომადგენლებმა ამა თუ იმ სოფელში. ჩემი დიდი სურვილია, რომ მოიშალოს ყველანაირი ბიუროკრატია, რა თქმა უნდა კანონიერების ფარგლებში.

- რაც შეეხება ყოველკვირეულ თათბირებს, ხომ არ იცვლება მიდგომა?

- არ შეიცვლება, შესაძლოა ზოგჯერ კვირაში ორჯერაც, ან ინდივიდუალურად შეხვედრებიც მოხდეს. ამ მხრივ არაფერი შეიცვლება. ყოველკვირეული თათბირის ხიბლი იმაშია, რომ უფრო კოორდინირებულად მუშაობენ, უფრო იციან ერთმანეთის პრობლემების თუ წარმატებების შესახებ. ეს გვეხმარება იმაში, რომ გუნდური მუშაობა ვაწარმოოთ სოფლებთან მიმართებაში.

- ზემო ქედში წყლის პრობლემა საკმაოდ მწვავედ დგას, რა პროცესი მიმდინარეობს ადგილზე?

- ზემო ქედში წყლის სისტემების მასშტაბური რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოების ნაწილი გასულ წელს განხორციელდა. მთლიანად ახალი სისტემა აეწყო და მთელს სოფელში, უბნების მიხედვით, ქსელების გაყვანა მოხდა. წელს გამრიცხველიანება მიმდინარეობს, უმრავლეს ადგილებში წყლის მრიცხველები უკვე დამონტაჟებულია. პარალელურად

(გაგრძელება გვ.)



წლის საუკეთესო პედაგოგი და მსახიობი

გვ. 4

1 სექტემბრიდან 6405 მედიკამენტი ურეცეპტოდ აღარ გაიცემა

გვ. 3

ახალგაზრდობა და სუბკულტურა-ცხოვრების მიზანი თუ მოდა

გვ. 6

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე

გვ. 5-7

C M Y K

კახეთის გუბერნატორმა რეგიონის გამგებლებთან საგანგებო თათბირი გამართა

კახეთში სასმელი წყლის პრობლემის მოსაგვარებლად, კახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში გუბერნატორმა რეგიონის გამგებლებთან საგანგებო თათბირი გამართა.

ირაკლი შიოლაშვილმა გამგებლებს რეკომენდაციით მიმართა, რომ სოფლებში არსებული წყლის პრობლემის მოსაგვარებლად, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფული წყლის სათაო ნაგებობების რეაბილიტაციას და ახალი ჭაბურღილების გაკეთებას მოხმარდეს.

"ძლიერი გვალვის შედეგად, რეგიონის რვავე რაიონში გვაქვს სასმელი წყლის პრობლემა, ზოგან შევძელით ალტერნატიული წყალმომარაგება, თუმცა პრობლემა იმდენად მასშტაბურია, რომ გამგებლებს რეკომენდაციით მივმართე, ბიუჯეტიდან თავისუფალი თანხები და ზოგიერთ შემთხვევაში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის გამოყოფილი ფული, წყალმომარაგებას მოვახმაროთ, რომ მოსახლეობას ეს პრობლემა მოუგვარდეს", - განუცხადა ჟურნალისტებს ირაკლი შიოლაშვილმა.

კახეთის რეგიონში, ორი თვის განმავლობაში, ათეულობით სოფელში წყლით მომარაგების პრობლემები არსებობს. ბოლო პერიოდში რამდენიმე სოფელში სასმელი წყლის მოთხოვნით მოსახლეობამ საპროტესტო აქციებიც გამართა.

1 სექტემბრიდან აგროდაზღვევის პროექტი ამოქმედდება

1 სექტემბრიდან აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი ამოქმედდება. სოფლის მეურნეობის მინისტრის ინფორმაციით, პროექტში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს შეეძლება. მისივე თქმით, აგროდაზღვევის თანადაფინანსებას სახელმწიფო მოახდენს. სტიქიის შედეგად მიყენებულ ზარალს კი სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ პირებს კონკრეტული სადაზღვევო კომპანიები აუნაზღაურებენ.

პროგრამის თანახმად, დაზღვევას ექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი შემდეგ სტიქიურ მოვლენებზე: სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა (მხოლოდ ციტრუსოვანი კულტურებისათვის).

პროგრამის მიზანია, დამზღვევთა სუბსიდირებით ხელი შეუწყოს ქვეყანაში აგროდაზღვევის განვითარებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს სადაზღვევო პრემიის (თანხის) დიდი ნაწილის (დაახლოებით 70-დან 95%-მდე სხვადასხვა კულტურაზე) გადახდას, ხოლო დანარჩენ ნაწილს დამზღვევი დაფარავს.

„გრძელდება სახელმწიფოს ხელშეწყობა სოფლის მეურნეობის დარგის მიმართულებით. ეს გახლავთ იმ პოლიტიკის გაგრძელება რომელიც დაიწყო საქართველოს მთავრობამ. ამ კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია აგროდაზღვევის სისტემის შემოღებაზე, ეს არის საპილოტე პროექტი, რომელიც მოიაზრებს პროცენტის სუბსიდირებას აგრარული დაზღვევის შემთხვევაში. შესაბამისად, ეს ვრცელდება ყველა იმ პროდუქტზე, რომელზეც საქართველოში მთელი ამ პერიოდის განმავლობაში სტატისტიკურად იქნა ინფორმაცია მოძიებული. სუბსიდირება ხორციელდება 70%-დან 90%-მდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი 95%-მდე. ამ თანადაფინანსებას, პროცენტის სუბსიდირებას განახორციელებს სახელმწიფო, ხოლო გლეხს ან მომხმარებელს, დამზღვევს ექნება შესაძლებობა 0,5%-დან გარკვეული შკალების მიხედვით გადაიხადოს დაზღვევის პროცენტი", - განაცხადა ოთარ დანელიამ.

მისივე თქმით, პროგრამით დგინდება კულტურების მაქსიმალური ნორმატიული ფასი და ნორმატიული მოსავლის ოდენობა ჰექტარზე. ასევე, განსაზღვრულია სადაზღვევო ტარიფის ზედა ზღვარი. პროგრამით ერთ დამზღვევზე გასაცემი სუბსიდიის მაქსიმალური თანხა 30000 ლარს, ხოლო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე 50000 ლარს შეადგენს. პროექტის საერთო ღირებულება 5 მილიონი ლარია და მას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

მთავრობის განკარგულების პროექტი „აგროდაზღვევის განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" მთავრობის სხდომაზე მოიწონეს.

აგროდაზღვევის საპილოტე პროექტი 1 სექტემბრიდან ამოქმედდება და ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ექს-პრეზიდენტზე შიდა ძებნა გამოცხადდა

ექს-პრეზიდენტის მიმართ შიდა ძებნის გამოცხადება საქართველოში სხვადასხვაგვარად იქნა აღქმული. თუკი ექსპერტებისთვის ეს ჩვეულებრივი, აუცილებელი სამართლებრივი პროცედურაა, ხელისუფლების ოპონენტები ძირითად მიზნად მიხეილ სააკაშვილთან პოლიტიკურ ბრძოლას მიიჩნევენ. რა მოჰყვება შიდა ძებნას და რა მიზანი ამოძრავებს ხელისუფლებას?

ექს-პრეზიდენტის მიმართ შიდა ძებნის გამოცხადებას "ქართული ოცნების" უსუსურ მცდელობად აფასებს "ნაციონალური მოძრაობა". პარტიის წარმომადგენლები თვლიან, რომ ამჟამინდელმა მთავრობამ შეგნებულად არ გამოაცხადა საერთაშორისო ძებნა, რადგანაც მიხვდა, რომ ასეთი ნაბიჯი წინასწარვე მარცხისთვის იყო განწირული. როგორც საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი დეპუტატი გიორგი ბარამიძე აღნიშნავს, "ქართული ოცნება" სრულიად არაადეკვატურად იქცევა:

"თუ უნდოდათ საერთაშორისო ძებნის დაწყება, დაიწყებდნენ... კაცს ეძებენ ქვეყნის შიგნით, როცა მშვენივრად იციან, რომ გველაპარაკება ხან ნიუ-იორკიდან, ხან ბუდაპეშტიდან, ხან კიევიდან, ხან ვარშავიდან... თვითონაც კარგად იციან, რომ არ იმყოფება საქართველოში".

პოლიტიკურ ანგარიშსწორებასა და ექს-პრეზიდენტის იმიჯის შელახვის მცდელობაზე ლაპარაკობს მიხეილ სააკაშვილის ადვოკატი ოთარ კახიძეც.

მისი განმარტებით, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს შიდა ძებნის მექანიზმს და საერთაშორისო ძებნა ამჟამინდელმა მთავრობამ მარცხის შიშით არ გამოაცხადა.

თუმცა ამ პროცესში უცნაურსა და უჩვეულოს ვერაფერს ხედავს"საარჩევნო და პოლიტტექნოლოგიების კვლევის ცენტრის" ხელმძღვანელი კახა კახიშვილი. როგორც მან განაცხადა, შიდა ძებნაში მთელი ის აუცილებელი სამართლებრივი პროცედურები იგულისხმება, რაც წინ უსწრებს საერთაშორისო ძებნის გამოცხადებას. შიდა ძებნას პროკურატურის ორგანოს მიმართვის საფუძველზე შინაგან საქმეთა სამინისტრო აწარმოებს:

"პროცედურულად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო სწავლობს ყველა იმ შესაძლო მისამართს, სადაც შესაძლოა ბრალდებული იმყოფებოდეს და, ამავდროულად, სწავლობს, ხომ არ გადაკვეთა ბრალდებულმა საქართველოს საზღვრები. თუკი დადგინდა, რომ ბრალდებულმა გადაკვეთა საქართველოს საზღვრები, შინაგან საქმეთა სამინისტრო ამის შესახებ აცნობებს ძებნის ინიციატორს. ამის შემდეგ ძებნის ინიციატორი წყვეტს საკითხს, იშუამდგომლოს თუ არა ინტერპოლის საერთაშორისო ბიუროს წინაშე ბრალდებულის მიმართ საერთაშორისო ძებნის გამოცხადების თაობაზე. თუ გამომძიებელი დაადგენს, პროკურორთან ერთად, რომ მათ უნდა გამოაცხადონ საერთაშორისო ძებნა, ისინი მიმართავენ პროკურატურის საერთაშორისო დეპარტამენტს, რომელსაც სთხოვენ მიმართვას ინტერპოლის ბიუროში".

ვიდრე პროცესი საერთაშორისო ძებნამდე მივა, კახა კახიშვილის ვარაუდით, შესაძლოა, სულ ცოტა, ერთი წელიწადი გავიდეს და, ამასთან, შეუძლებელია საბოლოო შედეგის პროგნოზირება, რადგანაც ეს თავიდან ბოლომდე ინტერპოლის გენერალური სამდივნოს გადასაწყვეტია მას შემდეგ, რაც მას საქართველოდან ინტერპოლის ადგილობრივი ბიურო მიმართავს. ინტერპოლის გენერალური სამდივნოს ხელმძღვანელი არ დაუშვებს საერთაშორისო დევნის გამოცხადებას ამა თუ იმ პირის მიმართ, თუკი მას გაუჩნდება ეჭვი პოლიტიკურ, ეთნიკურ თუ რელიგიურ დევნასთან დაკავშირებით. კახიშვილისთვის წარმოუდგენელია, რომ, საერთაშორისო ძებნის გამოცხადებისა და სააკაშვილის დაკავების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობის რომელიმე ქვეყნის სასამართლომ მიიღოს გადაწყვეტილება ექს-პრეზიდენტის საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე.

"დეტალები არ ვიცი... დაველოდოთ. პროკურატურა პროფესიულად მიჰყვება (პროცედურებს). ყველაფერს აკეთებენ, რაც კანონით არის გათვალისწინებული", - განაცხადა 15 აგვისტოს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, როცა მას ჟურნალისტებმა შეკითხვა დაუსვეს ექს-პრეზიდენტზე გამოცხადებულ შიდა ძებნასთან დაკავშირებით. პრემიერ-მინისტრი კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ კანონი უზენაესია და რომ საქართველოში ველარავინ დადგება კანონზე მაღლა:

"საქართველოში დასრულდა განუკითხაობისა და დაუსჯელობის ეპოქა. ყველას მოეთხოვება სათანადოდ პასუხი და ყველა მოქალაქე იქნება თანასწორი კანონის წინაშე".

როგორც მთავარ პროკურატურაში განუცხადეს რადიო თავისუფლებას, მიხეილ სააკაშვილის მიმართ გამოტანილი დადგენილება შიდა ძებნის შესახებ უკვე გადაგზავნილია შინაგან საქმეთა სამინისტროში შემდგომი რეაგირებისთვის.

ექს-პრეზიდენტ სააკაშვილის სამართლებრივი დევნის პროცესი ამ ეტაპზე ასე გამოიყურება: დაუსწრებლად შეფარდებული წინასწარი პატიმრობა 2007 წლის 7 ნოემბერს მომიტინგეთა დარბევის, ტელეკომპანია "იმედში" შეჭრისა და ბადრი პატარკაციშვილის ქონების მიტაცების საქმეზე და ბრალი კიდევ ორ საქმესთან დაკავშირებით. ესენია: დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემა და საბიუჯეტო თანხის 9 მილიონამდე ლარის გაფლანგვა.

22 წლის წინ აფხაზეთში ომი დაიწყო

22 წლის წინ აფხაზეთში ომი დაიწყო. 14 აგვისტოს, საქართველოს სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა, აფხაზეთში რკინიგზაზე წესრიგის დასამყარებლად საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფები შეიყვანეს, რასაც აფხაზეთში საომარი მოქმედებების დაწყება მოჰყვა.

სახელმწიფო საბჭოს თამჯდომარის ედუარდ შევარდნაძის მტკიცებით, ინგირი-სოჭის სარკინიგზო მონაკვეთზე წესრიგის დამყარების გეგმა მან პირადად აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბასთან შეათანხმა, მაგრამ როცა ქართული ქვედანაყოფები აფხაზეთში შევიდნენ, არძინბას მიერ უკანონოდ შექმნილმა ე.წ. აფხაზურმა გვარდიამ ქართულ შენაერთს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ოხურეიში მდებარე საგზაო პოლიციის საგუშაგოზე ცეცხლი გაუხსნა. საომარი მოქმედებების შედეგად დაღუპული პირველი მსხვერპლი სწორედ ამ საგუშაგოზე მომხდარ შეტაკებას უკავშირდება.

14 აგვისტოს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ვლადისლავ არძინბამ სოხუმის ადგილობრივი ტელევიზიით აფხაზეთის ხალხს სამამულო ომის დაწყება აუწყა და ადგილობრივ შენაერთებსა და აფხაზეთის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩართულ საზოგადოებას თავ-თავიანთი პოზიციების დაკავებისკენ, ხოლო ოფიციალურ თბილისს სახელმწიფო საბჭოს ჯარების აფხაზეთიდან გაყვანისკენ მოუწოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული შენაერთები ქალაქებში არ უნდა შესულიყვნენ, ეროვნული გვარდიის სარდლის, გენერალ თენგიზ კიტოვანის შენაერთები აფხაზეთის დედაქალაქში ტანკებითა და მძიმე ტექნიკით შევიდნენ. ქალაქში შესვლისთანავე დაპირისპირებულ ძალებს შორის ბრძოლა ქალაქ სოხუმის ტურბაზის რაიონსა და იმავე რაიონთან ახლოს მდებარე წითელ ხიდთან გაიმართა. სოხუმის ძირითად ნაწილში დარჩენილმა აფხაზურმა სეპარატისტულმა ხელისუფლებამ წინააღმდეგობა სამი დღე გასწია და 17 აგვისტოს სოხუმი ორგანიზებულად დატოვა და ქალაქ გუდაუთაში გადაბარგდა.

ამ სამი დღის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს ვლადისლავ არძინბასთან შეხვედრა. როგორც შემდგომ გაირკვა, იგი სოხუმის განაპირა, შუქურის რაიონში განლაგებულ რუსულ სამხედრო ნაწილში იყო და იქედან ხელმძღვანელობდა აფხაზური ძალების წინააღმდეგობას, მაგრამ შემდეგ თავადაც გუდაუთაში გადაბარგდა.

აფხაზეთში 14 აგვისტოს დაწყებული საომარი მოქმედებების ძირითადი ფაზა 13 თვე და 13 დღე გაგრძელდა და 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმის დაცემით დასრულდა. სოხუმის დაცემას წინ უძღოდა რუსეთის მონაწილეობით მხარეებს შორის მოლაპარაკებები, რომლის შედეგადაც 27 ივლისს ხელი მოეწერა სოჭის ხელშეკრულებას, რომელიც აფხაზურმა მხარემ ცალმხრივად დაარღვია, მაშინ, როცა ქართულ მხარეს აფხაზეთიდან გამოყვანილი ჰყავდა მძიმე სამხედრო ტექნიკა და ადგილობრივი მოსახლეობისაგან ჩამოყალიბებული ბატალიონები დაშლილი ჰყავდა.

მიუხედავად ამისა, 16 სექტემბერს სოხუმისათვის ბრძოლა 27 სექტემბერს დასრულდა. სოხუმის აღების ოპერაციაში აფხაზური ქვედანაყოფების გარდა მონაწილეობას იღებდნენ როგორც ჩრდილოეთ კაკასიელი მოხალისეები, ისე რუსეთის ხელისუფლების მიერ მობილიზებული კაზაკები და რუსეთის შეიარაღებული ძალების სხვადასხვა ქვედანაყოფები.

ომის შედეგად აფხაზეთის ტერიტორიის დატოვება 300 ათასამდე ადამიანს, უმეტესად ქართული ეროვნების ადამიანებს მოუწიათ. საომარი მოქმედებების შედეგად, ქართული მხრიდან ჯარისკაცებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახით 10 ათასამდე ადამიანი შეეწირა. 1993 წლის შემოდგომაზე განვითარებულ პროცესებს წინ უძღოდა 1992 წლის 2 ოქტომბერს აფხაზური შენაერთების მიერ გაგრის ზონის აღება. სწორედ გაგრის ზონის დაკარგვით შეძლო აფხაზურმა მხარემ რუსეთთან საზღვრის დაკავებით ქართულ მხარეზე უპირატესობის მოპოვება.

აფხაზურმა შენაერთებმა საქართველოსა და აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვარი მდინარე ენგურზე 1993 წლის 30 სექტემბერს დაიკავეს. სწორედ ამიტომ აფხაზური ხელისუფლება ქართულ მხარესთან საომარ მოქმედებებში გამარჯვებას ოფიციალურად 30 სექტემბერს აღნიშნავს.

რუსულმა სამხედრო ტექნიკამ უკრაინის საზღვარი გადალახა

რუსულმა ჯავშანტექნიკამ და სამხედრო სატვირთო მანქანებმა უკრაინის საზღვარი გადაკვეთეს. უკრაინის ეროვნული უშიშროების საბჭოს სპიკერის ანდრეი ლისენკოს გაცხდებით, წუხელ რუსეთის მხრიდან, გამშვებ პუნქტ "იზვარინოდან" უკრაინის ტერიტორიაზე რუსული სამხედრო ტექნიკის კოლონა შევიდა. "არაერთხელ განვაცხადეთ რუსეთის მხრიდან მძიმე ტექნიკისა და სამხედრო მანქანების მიერ რუსეთ-უკრაინის საზღვრის გადმოკვეთის შესახებ. დღეს კი, ეს ფაქტი უცხოელმა ჟურნალისტებმაც დააფიქსირეს", - განაცხადა ანდრეი ლისენკომ. როგორც "გარდიანის" ჟურნალისტმა შონ უოკერმა "ტვიტერზე" დაწერა, მის თვალწინ რუსეთის 20-მდე ჯავშანტრანსპორტიორმა და სამხედრო სატვირთოებმა უკრაინის საზღვარი გადაკვეთეს.

„ჩემი სურვილია ყველანაირი ბიუროკრატია მოიშალოს“

(პირველი გვერდიდან)

მიმდინარეობს სოფელ არხილოსკალოში მდებარე წყლის რეზერვუარების რემონტი, რის დასრულების შემდეგაც მოხდება ზემო ქედის ახალი სისტემის და არხილოსკალოს რეზერვუარის მიერთება და ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემა მოეხსნება. რამდენიმე თვეში პროცესი დასრულდება და წყლის მიწოდება გაუმჯობესდება. მოლოდინი გვაქვს, რომ 12 საათიან რეჟიმში მოვახერხებთ წყლის მიწოდებას.

- რაც შეეხება ქედების ზონის გაზიფიცირების საკითხს, რომელიც აქილევსის ქუსლად იქცა. ქედების ზონის მოსახლეობა განსაკუთრებით პრობლემებს ზამთრის სეზონზე აწყდება

- ეს ძალიან მძიმე საკითხია ჩვენთვის. ქედების ზონის გაზიფიცირებას რაც შეეხება, იმდენს ვმუშაობთ, დისერტაციის დაცვას შევძლებთ ამ თემაზე, ისე სიღრმისეულად ვიცნობთ ამ პრობლემას. (იცინის) ქვემოთ მდებარე ექვს საზღვრისპირა სოფელში 10 200 ადამიანზე მეტი ცხოვრობს, მოსახლეობა გაზიფიცირების გარეშეა დარჩენილი, რაც თავის მხრივ ეკოლოგიაზე ცუდ გავლენას ახდენს. ამ ზონას ტყეკაფი ფაქტობრივად არ გააჩნია და მათი შეშით მომარაგებაც ძალიან დიდი პრობლემაა. სხვა რაიონებიდან ტრანსპორტირება კი რამდენჯერმე უფრო ძვირი უჯდებათ. ერთ გადახვევას გავაკეთებ, როდესაც ამ თემაზე ვმუშაობდი და დეტალები მოვიძიე, აღმოჩნდა, რომ ზემო ქედის შესასვლელამდე მიყვანილი მაღალი წნევის გაზსადენი მილი რამდენიმე წლის წინ ნაციონალური მოძრაობის პერიოდში ამოთხარეს და ჯართში ჩააბარეს. არადა, ამ სოფლების გაზიფიცირებისთვის მთავარი პრობლემა მაგისტრალის სოფლებამდე მიყვანაა, რაც საკმაოდ სერიოზულ ხარჯებს მოითხოვს. ეს ჩემთვის ძალიან დიდი გულისტკივილი იყო. ამ საკითხზე მთავრობის წარმომადგენლებთან აქტიური კომუნიკაცია გვაქვს, რადგან ამხელა პროექტს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ შეეჭიდება. მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლების მხრიდან არის მზაობა და უდიდესი გვერდში დგომა, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას. ვიცი, რომ ამ ეტაპზე მთავრობაში კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა მიმდინარეობს, მუშავდება გეგმებიც, მაგრამ სანამ კონკრეტული დეტალები არ გაირკვევა, არასწორი იქნება რაიმე თარიღი დავასახელო. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ეს საკითხი ძალიან მალე გაირკვევა და გადაიჭრება.

- გუბერნატორი აქტიურად საუბრობს სეტყვის საწინააღმდეგო რადარების დამონტაჟების საკითხზე. გვახსოვს, რომ ასეთი აპარატურა დედოფლისწყაროში ადრეც მუშაობდა...

- ეს ძალიან სენსიტიური საკითხია ჩვენი რაიონისთვის. როგორც ვიცი, პროექტი 2015 წელს უნდა დაიწყოს და მთელი კახეთი მოიცვას. ამჟამად, არ მაქვს ინფორმაცია, კონკრეტულად რა ადგილებში დაიდგმება, თუმცა 99%-იანი ალბათობით, ერთ-ერთი ასეთი სტრატეგიული ადგილი დედოფლისწყაროშიც იქნება. ლოგიკურადაც რომ ვიმსჯელოთ, კახეთის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ძალიან დიდი ნაწილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და მათაც ჭირდება სეტყვის პრევენცია. პროექტის მთავარი იდეა იმაში მდგომარეობს, რომ მთელი კახეთი მოიცვას, როგორც მარცვლეული კულტურები, ისე ვენახები და ხეხილი.

- გაუდაბნოების პროცესის და კლიმატის ცვლილების შესარბილებლად ნაგავსაყრელების პრობლემაზე საუბრობს ნინო ჩხობაძე, რომელმაც გასულ თვეში რეკომენდაციებით მოგმართათ...

- რეკომენდაციებს ცხადია გავეცანით, თუმცა მანამდეც ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ უცხოელი ექსპერტები და ზოგადად, ნაგავსაყრელების მიმართ ხელისუფლების მიდგომა შეიცვალა. შესაძლოა, კახეთში ერთი ან ორი მაღალტექნოლოგიური ნაგავსაყრელი მოეწყოს და ყველა მუნიციპალიტეტი იმით ისარგებლებს. ერთი პლიუსი რაც ჩვენს ნაგავსაყრელს ამჟამად აქვს, არის ის, რომ კირქვიანი ტერიტორიაა და ნიადაგში მავნე ნივთიერებების გაჟონვა არ ხდება. ასე რომ, ნაგავსაყრელის მოწესრიგების კუთხით ნაბიჯები გადადგმულია.

- არაერთხელ გაჟღერებულა იდეა, ქალაქ დედოფლისწყაროს გამსხვილების და მისთვის ხორნაბუჯისა და სოფელ სამრეკლოს მიერთების შესახებ. რამდენიმე წელია, მსგავსი ინიციატივები ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც ფიქსირდება, საინტერესოა თქვენი მოსაზრება...

- ცხოვრების განვითარებას ყოველთვის მივყავართ იქამდე, რომ მსგავს საკითხებზე ვიფიქროთ, თუნდაც თბილისის მაგალითზე ვიმსჯელოთ. როდესაც განვითარდნენ, გამსხვილების და მიმდებარე სოფლების შერწყმის საკითხიც დადგა. მე მიმაჩნია, რომ ამ ორივე სოფელში თუნდაც ინფრასტრუქტურული კუთხე რომ ავიღოთ, ძალზე აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები. მოგვარებულია წყლისა და გაზიფიცირების პრობლემები. გვპირდებიან, რომ „სილქნეტი“ უახლოეს მომავალში ამ ორი სოფლის ინტერნეტით უზრუნველყოფასაც მოახდენს, რაზეც დამეთანხმებით, რომ ძალიან დიდი მოთხოვნაა ამ სოფლების მცხოვრებთა მხრიდან. ამით იმის თქმა მინდა, რომ ნელნელა ქალაქისა და ამ სოფლების ცხოვრების დონე გათანაბრდება, რაც, თავის მხრივ, ქალაქთან შერწყმის წინაპირობა იქნება. რადგან საყოფაცხოვრებო პირობებით ისინი ერთმანეთს ძალიან უახლოვდებიან, არ გამოვრიცხავ, რომ მომავალში მათი შემოერთების საკითხიც დადგეს დღის წესრიგში.

ილია მარტყოფლიშვილი

1 სექტემბრიდან 6405 მედიკამენტი ურეცეპტოდ აღარ გაიცემა

1-ლი სექტემბრიდან აფთიაქებში ურეცეპტოდ აღარ გაიცემა I და II ჯგუფის 6405 დასახელების მედიკამენტი. მომხმარებლებს რეცეპტის წარდგენის ვალდებულება ექნებათ ისეთი პოპულარული მედიკამენტების შეძენისას, როგორიცაა ნიმესილი, კეტონალი, გლუკოზა, დიმედროლი, პარაცეტამოლი, სუპრასტინი, ანალგინი, სტრეპტომიცინი, ვიაგრასანი, ვიტამინი E, დრამინა, ერითრომიცინი, ესენციალე N, ამოქსიკლავი და სხვა.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, იმოქმედებს როგორც ერთწლიანი რეცეპტები, ასევე უეცრად დამდგარ სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით, ყველა აფთიაქში იქნება გადაუდებელი დახმარების ნაკრები, რომლის შემადგენლობაც შესწავლის შემდეგ განისაზღვრება.

ურეცეპტოდ აღარ გაიცემა II ჯგუფის მედიკამენტები, საძილე და დამამშვიდებელი საშუალებები (გარდა მცენარეული პრეპარატებისა), ანტიდეპრესანტები, კორტიკოსტეროიდები სისტემური გამოყენებისათვის, სიმსივნის საწინააღმდეგო პრეპარატები და იმუნომოდულატორები, მიკრობების საწინააღმდეგო პრეპარატები სისტემური გამოყენებისათვის, პარკინსონიზმის საწინააღმდეგო პრეპარატები, ანტიჰისტამინური საინექციო პრეპარატები სისტემური გამოყენებისათვის, საგულე გლიკოზიდები, ანტიარითმული და ანტიჰიპერტენზული პრეპარატები, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო პრეპარატები, საინექციო წამლის ფორმები და სხვა.

ფორმა N3 რეცეპტის ბლანკები ხელმისაწვდომი იქნება ელექტრონული პროგრამის მეშვეობით. რეცეპტების ამობეჭდვას რეცეპტების სისტემაში დარეგისტრირებული თითოეული მომხმარებელი შეძლებს. ინფორმაცია რეცეპტების ბეჭდვასა და სისტემაში დარეგისტრირების შესახებ სამინისტროს ვებ-გვერდზე უახლოეს მომავალში განთავსდება. სოფლის ექიმებს კი რეცეპტები სამინისტროს მიერ გადაეცემათ.

ჯანდაცვის სამინისტრომ ხშირად დასმულ კითხვებთან დაკავშირებით ინფორმაცია გამოაქვეყნა.

როგორ გამოიწერება მედიკამენტი - სავაჭრო თუ ჯენერიული დასახელებით?

რეცეპტზე ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება გენერიკული დასახელებით (საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, მიეთითოს სავაჭრო დასახელებაც). არაგენერიკული და კომბინირებული ფარმაცევტული პროდუქტი გამოიწერება სავაჭრო დასახელებით.

რამდენჯერ არის შესაძლებელი აფთიაქიდან ერთი და იმავე რეცეპტის საფუძველზე წამლის მიღება?

რეცეპტის ბლანკი დანომრილია და შედგება სამი (A, B და C) განყოფილებისაგან. B და C განყოფილება ექვსნაწილიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია ექიმის მიერ გამოწერილი რაოდენობა პაციენტმა შეიძინოს 6-ჯერადად აფთიაქ(ებ)ში ვიზიტის ფარგლებში.

რამდენი მედიკამენტი გამოიწერება ფორმა N3 რეცეპტზე?

იმის გათვალისწინებით, რომ რეცეპტის C განყოფილების (ე.წ. „მოსახევი“ ნაწილის) რაოდენობა მაქსიმალური ყოფილიყო, რეცეპტზე გამოიწერება მხოლოდ 1 დასახელების ფარმაცევტული პროდუქტი.

ფორმა N3 რეცეპტის გაცემა, უნდა იყოს თუ არა, დაფიქსირებული სამედიცინო დოკუმენტაციაში?

სამკურნალო საშუალების ფორმა N3 რეცეპტზე გამოწერის ფაქტი, კანონმდებლობის დაცვით სავალდებულოა აისახოს სამედიცინო დოკუმენტაციაში.

ვის აქვს ფორმა N3 რეცეპტის გამოწერის უფლება?

ფარმაცევტულ პროდუქტს ნიშნავს და რეცეპტზე გამოწერს დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის სუბიექტი - სერტიფიცირებული ექიმი-სპეციალისტი.

რომელ ენაზე გამოიწერება რეცეპტი: ქართულ თუ ლათინურ ენაზე?

რეცეპტში ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება (მათ შორის, ოფიციალური ან მაგისტრალური რეცეპტით დასამზადებელი პრეპარატის შემადგენლობა), ფორმა და დოზა იწერება სახელმწიფო ან ლათინურ ენაზე. ლათინური შემოკლებების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო და ფარმაცევტულ პრაქტიკაში დაშვებული ძირითადი სარეცეპტურო შემოკლებებით.

ჩაიწერება თუ არა დიაგნოზი?

დიაგნოზის მითითება რეცეპზე სავალდებულო არ არის.

უნდა მიეთითოს თუ არა რეცეპტზე ექიმის საკონტაქტო ინფორმაცია?

რეცეპტში დამატებით (არასავალდებულო წესით) შესაძლებელია მიეთითოს რეცეპტის გამომწერი ექიმის და/ან სამედიცინო დაწესებულების საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი და/ან მისამართი).

ვინ, ან როგორ ადგენს ე.წ. „სააფთიაქო ჩანთიდან“ მედიკამენტის გაცემის მიზანშეწონილობის საკითხს?

ექსტრემალურ შემთხვევებში, ფორმა N3 რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების ერთჯერადი დოზებით, ურეცეპტოდ გაცემის მიზანშეწონილობას ადგენს აფთიაქის შესაბამისი უფლებამოსილი პირი.

როგორ ამოწმებს ექიმი რეცეპტს? აუცილებელია თუ არა დაწესებულების ბეჭედი?

რეცეპტის A განყოფილება მოწმდება გამომწერი ექიმის ხელმოწერითა და პირადი ბეჭდით ან გამომწერი ექიმის ხელმოწერითა და სამედიცინო დაწესებულების ბეჭდით (შტამპი).

როგორია რეცეპტის მოქმედების ვადა?

რეცეპტის მოქმედების ვადას, დიაგნოზისა და მკურნალობის კურსის ხანგრძლივობის შესაბამისად, ადგენს ექიმი.

ხომ არ შექმნის რეცეპტის ინსტიტუტი პრობლემას ქრონიკული ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში?

ქრონიკული ან ხანგრძლივად მიმდინარე დაავადებების შემთხვევაში, რეცეპტის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს ერთი წლით.

როგორ უნდა შეივსოს B და C განყოფილება აფთიაქში და ვინ ავსებს მას?

რეცეპტის B და C განყოფილება ივსება აფთიაქში რეალიზაციაზე უფლებამოსილი პირის მიერ. რეცეპტის B განყოფილების თითოეული ნაწილი უნდა დამოწმდეს ამ დაწესებულების ბეჭდით. რეცეპტის C განყოფილებაში ფარმაცევტული პროდუქტის დასახელება მიეთითება სავაჭრო დასახელებით. აფთიაქში რეცეპტის წარდგენისას და რეცეპტზე გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის არასრულად შეძენისას, C განყოფილებაში შევსებულ უჯრას იტოვებს აფთიაქი, ხოლო B განყოფილება რჩება რეცეპტის ძირითად A ნაწილთან ერთად.

რჩება თუ არა რეცეპტი აფთიაქში?

რეცეპტის ვადის ამოწურვის, ან გამოწერილი ფარმაცევტული პროდუქტის სრულად გაცემის შემთხვევაში, რეცეპტი რჩება აფთიაქს.

რამდენ ხანს ინახება რეცეპტი აფთიაქში?

აფთიაქის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, ფარმაცევტული პროდუქტის გაცემისას C განყოფილების შევსებული ვერსია და/ან რეცეპტი შეინახოს ფარმაცევტული პროდუქტის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში.

წლის საუკეთესო პედაგოგი და მსახიობი



წელს დედოფლისწყაროს ღვაწლმოსილი პედაგოგი, მუსიკოსი და ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოამაგე ირაკლი კიკილაშვილი იუბილარია- სულ ახლახანს ის 65-წლის გახდა. მისასალმებელია, რომ მისი ღვაწლი საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩა და როგორც საუკეთესო პედაგოგს და მსახიობს, უაღრესად კარგ პიროვნებას, რაიონის ღირსეულ მამულიშვილს, კარგ მეგობარს და უპირველეს ყოვლისა მამას და მეუღლეს, მუნიციპალიტეტის გამგეობამ, რაიონის საზოგადოების სახელით, წლევანდელ დედოფლისწყაროობაზე წარმატებული დედოფლისწყاროელის ტიტული მიანიჭა.

მინი დოსიე: ირაკლი კიკილაშვილი დაიბადა 1949 წელს, 1965 წელს დაამთავრა რუსული საშუალო სკოლა, ამავე წელს ჩაირიცხა თბილისში მეოთხე მუსიკალურ სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ, 1971 წელს, სწავლა გააგაგრძელა სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო განყოფილებაზე. 1975 წლიდან იგი მუშაობას იწყებს წითელწყაროს მუსიკალურ სკოლაში მასწავლებლად. 1973 წელს სოფელ არბოშიკში გაიხსნა მუსიკალური სკოლა, სადაც ირაკლი კიკილაშვილი დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა და პარალელურად აგრძელებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას 2004 წლამდე. ამავე დროს, იგი მღეროდა დედოფლისწყაროს კულტურის სახლთან არსებულ ვაჟთა ქართულ- ხალხურ მომღერალთა ანსამბლ „ხორნაბუჯში". პედაგოგიურ და მუსიკალურ მოღვაწეობასთან ერთად ირაკლი კიკილაშვილი თამაშობს როლებს რაიონის კულტურის სახლის სცენაზე, რამაც კიდევ უფრო გაამრავალფეროვნა და მრავალმხრივი გახადა მისი შემოქმედებითი ცხოვრება. წლების მანძილზე არაერთი როლი ითამაშა სხვადასხვა სპექტაკლში. კონკრეტულად, ნათამაშები აქვს 9 როლი. მათ შორისაა სპექტაკლი „ტირიფის ქვეშ", „ერისთავის სამშობლო" და სხვა. შემოქმედებით საქმიანობას თან სდევდა გასტროლებიც, 1980 წელს ირაკლი კიკილაშვილი ჩადის ჩეხოსლოვაკიაში ანსამბლ „ხორნაბუჯთან" ერთად, 1993 წელს - აზერბაიჯანში ფოლკლორის ფესტივალზე, ხოლო 1994 წელს ის, „ხორნაბუჯთან" ერთად, ლიტვის სტუმარი გახლდათ. ირაკლი კიკილაშვილი მუშაობდა და დღემდე აგრძელებს მუშაობას საკუთარ ნაწარმოებებზე. მას ნოტების სახით შექმნილი აქვს რამდენიმე კრებული, არაჩვეულებრივად ლამაზი და მოსასმენად სასიამოვნო ნაწარმოებებისა, რომელიც უსახსრობის გამო მხოლოდ ხელნაწერერების სახით გადადის ხელიდან ხელში. მისი ნაწარმოებები ქიზიყურ ცხოვრებას და სოფლურ სულს ისე ეხმიანება, რომ აქაურმა მუსიკის მოყვარულმა საზოგადოებამ უმალ აიტაცა, სწორედ ამიტომ ირაკლი კიკილაშვილის ძარღვიანი მუსიკა ჩვენს საკონცერტო დარბაზებში მუდმივად ჟღერს და დიდი მოწონებითაც სარგებლობს. იმის გამო, რომ არ არსებობს ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებთა კრებული ან რაიმე ბეჭდური გამოცემა, მისი ხელნაწერის რამდენიმე ეგზემპლარი ქსეროქსების სახით ვრცელდება ჩვენს ნიჭიერ მუსიკოსთა რიგებში და რაიონის ხელოვნების სკოლაში სიამაყით სრულდება. ცნობილია, რომ ირაკლი კიკილაშვილის ნაწარმოებებს ასევე ასრულებენ ქუთაისის მუსიკალურ სკოლაშიც. 2004 წელს იგი დაჯილდოვდა ფიროსმანის ნახატებზე შექმნილი საბავშვო ალბომისათვის, რომელსაც ხშირად უკრავენ და ასრულებენ რაიონის ხელოვნების სკოლაში. გარკვეულ მიზეზთა გამო ირაკლი კიკილაშვილმა დატოვა ანსამბლი „ხორნაბუჯი" და ამჟამად იგი მშობლიურ სოფელ არბოშიკში განაგრძობს შემოქმედებით მოღვაწეობას. მუშაობს არბოშიკის კულტურის სახლში ფოლკლორის სპეციალისტად, ჰყავს გოგონათა და ვაჟთა გუნდები. ირაკლი კიკილაშვილის წლების მანძილზე გაწეული თავდაუზოგავი ღვაწლი ფასდაუდებელია თაობებისთვის, რომელიც წლების შემდეგ უფრო და უფრო დაფასდება და საშვილიშვილოდ დარჩება. მისი პედაგოგიური მოღვაწეობის შედეგია, რომ მან არაერთი თაობა აღზარდა და კიდევ აგრძელებს თავის საქმეს.

თავად ჩვენი წერილის სტუმარი კი თვლის, რომ ცხოვრებაში იმის მხოლოდ ნახევრის გაკეთება შეძლო, რაც დასახული ჰქონდა მიზნად: -„ჩემი ცხოვრება ჭიდილში გავატარე და ამით ბევრმა ისარგებლა, რის გამოც გულნატკენი ვარ. გეგმები მქონდა, მინდოდა გამეკეთებინა კიდევ რაღაც, მაგრამ დროში ვერ ჩავეტიე, წლები გავიდა და იმის გაკეთება დღეს უკვე შეუძლებელია. ერთადერთი, რაც მინდა და მაქვს იმედი, ისაა, რომ გამოსაცემად მზადაა ჩემი ხელნაწერი ნოტები, ალბომები სახელწოდებით „მოსწავლის ერთი დღე", ეტიუდების კრებული, ასევე ნიკო ფიროსმანის ნახატებზე შექმნილი საბავშვო ალბომი, ჩემს სიცოცხლეშივე დავბეჭდო. თუ არა და, ჩემი შვილების იმედი მაქვს, ისინი მაინც აასრულებენ ჩემს ნატვრას.

გვინდა, მთელი რაიონის საზოგადოების სახელით კიდევ ერთხელ მივულოცოთ ბატონ ირაკლის საიუბილეო წელი და საპატიო ჯილდო–წარმატებული დედოფლისწყაროელის ტიტული, ჯანმრთელობას, ჩვეულ მხნეობას და კვლავ მრავალი მადლიერი თაობის გამოზრდას გისურვებთ, ბატონო ირაკლი!

ლალი მეხრიშვილი

რთველის საკოორდინაციო შტაბი 20 აგვისტოს გაიხსნება

20 აგვისტოს, გურჯაანში „რთველი 2014"-ის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნება. როგორც ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ლევან დავითაშვილმა განუცხადა, შტაბი 2 თვის განმავლობაში 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს და გლეხებს ყურძნის ჩაბარების პროცესში დაეხმარება.

„რთველი 2014"-ის საკოორდინაციო შტაბი სასტუმრო „რებში" განთავსდება. რთველის საკოორდინაციო შტაბის ცხელი ხაზის ნომერია: 247 01 01.

„რთველი 2014"-ის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან დავითაშვილმა თელავში, კახეთის რეგიონის გუბერნატორსა და რაიონის გამგებლებს გააცნეს. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წლის რთველის სეზონზე ყურძნის ხარისხის კონტროლთან ერთად, მკაცრი კონტროლი ქარხნებიდან ჭაჭის უტილიზაციაზეც განხორციელდება.

„განვიხილეთ რთველის საკოორდინაციო საკითხები. გურჯაანში გაიხსნება შტაბი, რომელიც 24 საათიან რეჟიმში იმუშავებს და ჩაბარებული ყუძენი ერთიან ელექტრონულ ბაზაში აღირიცხება. უკვე განისაზღვრა ცხელი ხაზი. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა სუბსიდირება გააგრძელოს მიმდინარე წლის რთველზე. ყურძნის მოსავლის საპროგნოზო

მაჩვენებლებით, წელს ჩაუბარებელი ყურძენი არ დარჩება. მთავარია ვაკონტროლოთ ყურძნის ნაკადები ღვინის კომპანიებთან, რათა არ გაჩნდეს რიგები და არ შეფერხდეს ჩაბარების პროცესი ",- განაცხადა ღვინის ეროვნული სააგენტოს დირექტორმა ლევან დავითაშვილმა.

დავითაშვილის თქმით, კახეთში რთველი აგვისტოს ბოლოს დედოფლისწყაროს რაიონის სოფლებიდან დაიწყება. სექტემბრიდან კი რთველში ჯერ სიღნაღის, შემდეგ კი გურჯაანის რაიონის სოფლები ჩაერთვებიან.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, 2014 წელს ყურძნის მოსავლის სავარაუდო რაოდენობა 126 ათას ტონამდე იქნება, აქედან 96 ათას ტონმდე რქაწითელი და 30 ათას ტონამდე საფერავია. სამინისტროს ცნობით, ბაზრის მოთხოვნა-მიწოდების ანალიზიდან გამომდინარე, წელს სუბსიდიამ შარშანდელთან შედარებით რქაწითელზე შემცირდა და 35 თეთრს, ხოლო გადაჭარბებული მოთხოვნის გამო 1 კილო საფერავზე - 15 თეთრს შეადგენს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ღვინის კომპანიების მიერ წარმოდგენილი წინასწარი განაცხადების თანახმად, მათი მხრიდან ყურძნის გადამუშავებაზე მოთხოვნა რქაწითელზე 60 ათას ტონას, ხოლო საფერავზე - 50 ათას ტონას შეადგენს. სახელმწიფო კომპანიების მიერ სავარაუდოდ გადამუშავდება დაახლოებით 10 ათას ტონამდე რქაწითელი. წინასწარი მონაცემებით, თბილისსა და საქართველოს რაიონებში საკვები ყურძნის სახით ჯამში 29 ათასი ტონამდე რქაწითელი იქნება ათვისებული.

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე

როგორც არცერთხელ გვითქვამს, ჩვენი რაიონის ტერიტორია გაუდაბნოების და ეკოლოგიური კატასტროფის ზონად გამოცხადდა. სახეზე გვაქვს ძლიერი გვალვა, ქარეგბი, რომელმაც წელში გაწყვიტა რაიონის მოსახლეობის ეკონომიკა. მოუსავლიანი წლები გახშირდა. ისიც გვითქვამს, რომ ამ საკითხების შესწავლას არაერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ანხორციელებს. დღეს ჩვენ ერთ-ერთი პროექტის ექსპერტ-კონსულტანტს, **ანა ბენაშვილს** ვესაუბრებით:

- ქალბატონო ანა, თქვენ, ადგილობრივი ექსპერტ-კონსულტანტის რანგში, ჩართული იყავით „გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო-კონვენციის მესამე ეროვნული შეტყობინების“ დოკუმენტის მომზადების პროგრამაში და მოამზადეთ ვრცელი ანგარიში დედოფლისწყაროში გაუდაბნოების ტენდენციების გაძლიერების, სამომავლო რისკების და კლიმატის ცვლილების გავლენის შესარბილებელი რეკომენდაციების შესახებ. რას გვეტყვით, ზოგადად, გლობალურ დათბობაზე და დედოფლისწყაროში კლიმატის ცვლილების სამომავლო სცენარებზე?

- დედამიწის სხვადასხვა წერტილში გამოვლენილ ექსტრემალურ ბუნებრივ მოვლენებზე და მათ მიერ გამოწვეულ მსხვერპლსა თუ ზარალზე დაკვირვების შედეგად, უკვე მთელმა სამყარომ გააცნობიერა მიმდინარე კლიმატის ცვლილებით გამოწვეული მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბები. კლიმატის გლობალური ცვლილება დაკავშირებულია გლობალური ტემპერატურის მატებასთან და გამოწვეულია დედამიწის ატმოსფეროში ზოგიერთი გაზის გადამეტებული კონცენტრაციით, რაც ხელს უშლის დედამიწიდან „ზედმეტი“ სითბოს არეკვლას. ამ გაზებს ეწოდებათ „სათბური გაზები“ და ისინი მოიცავენ ნახშირორჟანგს, მეთანს, აზოტის ქვეჟანგს და სხვას.

კაცობრიობის ისტორიაში გლობალური კლიმატის ცვლილებების სხვადასხვა პერიოდი გამოიყოფა, თუმცა თანამედროვე კლიმატის ცვლილება გამოწვეულია ადამიანის საწარმოო საქმიანობით და პირდაპირ უკავშირდება ინდუსტრიალიზაციას. თანამედროვე კლიმატის ცვლილებების შესახებ ცნობილი გახდა მეოცე საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, როდესაც შეამჩნიეს მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა და გახშირდა კლიმატური კატასტროფები. დღეისთვის უკვე დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება პლანეტის მასშტაბით ნამდვილად ხდება სათბურის გაზების მაღალი და მზარდი კონცენტრაციის გამო. ეს გაზები კი ადამიანის სამეწარმეო საქმიანობის დროს გამოიყოფიან და დედამიწის გარშემო „ღრუბელს“ ქმნიან, რაც თავის მხრივ იწვევს საშუალო ტემპერატურის აწევას. კლიმატის ცვლილებების მავნე შედეგები მოიცავს მყინვარების დნობას მთებზე და ყინულის ფენების ოკეანეებში განლევას, „სიცხის ტალღებს“, გვალვებს, ძლიერ წვიმებს, ცუნამებს, ქარიშხლების გაძლიერებას და, თავისთავად, ეს და მსგავსი მოვლენები ცვლის ბუნებას, ეკოსისტემებს, რომელთა უმეტესობა ვერ ახერხებს ახალ გარემო პირობებთან ადაპტაციას და გადაგვარდება ხოლმე. ასევე, იზრდება ადამიანთა დაავადებების რისკი, მათ შორის ეპიდემიების გავრცელება. „სათბურის ეფექტით“ გამოწვეული მავნე შედეგები სულ უფრო მეტ მრავალფეროვნებას იძენს, რაც სასწრაფოს ხდის პრობლემების მოგვარებას.

ყველაზე დიდი პრობლემა ანთროპოგენურ ფაქტორებს შორის არის ნახშირორჟანგის მომეტებული რაოდენობა ატმოსფეროში, რაც გამოწვეულია ოზონის ხვრელის, ბუნებრივი საწვავის, ტყეების გაჩეხვისა და სხვა მიზეზებით. თითოეული ეს ფაქტორი მონაწილეობს მიკროკლიმატის ჩამოყალიბების პროცესში და შემდგომში აყალიბებს გლობალურ კლიმატს. ცხადი გახდა, რომ თვით ძლიერ და მდიდარ, კარგად ორგანიზებულ სახელმწიფოებსაც კი, როგორიცაა აშშ, საფრანგეთი, ინგლისი და სხვა, გაუჭირდათ თავის მოსახლეობის დაცვა სტიქიისაგან, რომ აღარაფერი ვთქვათ განვითრებად, ღარიბ და მცირეკუნძულოვან სახელმწიფოებზე, რომლებიც განსაკუთრებულად მოწყვლადნი არიან კლიმატის ცვლილების მიმართ. სწორედ ამიტომაც, დიდი სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, ბოლო წლების მანძილზე, უმაღლეს სამიტებზე გაკეთებულ განცხადებებში კლიმატის ცვლილების საფრთხე ტერორიზმის საფრთხის რანგში იქნა აყვანილი და გარკვევით ითქვა, რომ ამ საფრთხის დაძლევა მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის წილი როგორია ამ პროცესების განვითარებაში. ამავე დროს ყველა ერთხმად აღიარებს გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ძირითად პრინციპებს,რომლის თანახმად ჩვენ(თითოეულ ქვეყანას, დიდს თუ პატარას, განვითარებულს თუ განვითარებადს ან გარდამავალს,მდიდარსა თუ ღარიბს, გეოგრაფიული და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე მეტად თუ ნაკლებად მოწყვლადს) გვაქვს საერთო და ამავდროულად დიფერენცირებული პასუხისმგებლობა და მოვალეობები ჩვენი მომავალი თაობებისა და საერთოდ, კაცობრიობის წინაშე.

- ამ პროგრამაში მუშაობის დროს რა პრობლემები და საშიშროებები გამოიკვეთა კონკრეტულად დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტისთვის? წლევანდელი ზაფხული განსაკუთრებულად ცხელი და მშრალი აღმოჩნდა, წვიმამ თავი დაგვანატრა, მოსახლეობამ ხელი ჩაიქნია მოსავალზე...

- პირველ რიგში მინდა აღვნიშნო, რომ ანგარიშის მომზადების დროს მე მქონდა პირადი შეხვედრები და საუბრები ადგილობრივ ფერმერებთან, სპეციალისტებთან და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლებთან. თითქმის უკვე დასრულდა საერთაშორისო კონფერენციისთვის, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მესამე ეროვნული შეტყობინების დოკუმენტის მომზადება, რომელზეც სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან და დარგობრივ ექსპერტებთან ერთად მუშაობდა კონვენციის ვიცეპრეზიდენტი, პროექტის კოორდინატორი ქალბატონი მარინა შვანგირაძე. ამ დოკუმენტში მოწყვლად რეგიონებად განიხილება აჭარის და კახეთის რეგიონები. ქალბატონ მარინასთან ერთად ადგილობრივი ექსპერტების რანგში, ჩართული ვიყავით მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები. კახეთის რეგიონში დედოფლისწყარო, საგარეჯოსთან ერთად, კვლავ განიხილება გაუდაბნოების საფრთხის ქვეშ მყოფ მუნიციპალიტეტად. განსაკუთრებული საფრთხეებია მოსალოდნელი ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, სოფლის მეურნეობის განვითარების და ადამიანთა ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის თვალსაზრისით. ნიადაგის, სათიბ-საძოვრების დეგრადაციის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებია ექსტრემალური გვალვიანი დღეების სიხშირე, რასაც თან სდევს ნიადაგის გამოშრობა, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიები, გარემოზე რესურსების არამდგრადი მართვით განპირობებული ანთროპოგენული ზემოქმედება; სერიოზული საფრთხის წინაშე დგას მესაქონლეობა-საკვებმოპოვების დარგის განვითარება, რადგან კატასტროფულ მდგომარეობაშია საძოვრები, აღარ ხდება მათი აღდგენა-განახლება, ძოვების რეჟიმის დაცვა, ხელოვნური საკვები ბაზის შექმნა. მიმდინარე სამეურნეო წელს, ხანგრძლივი ექსტრემალური გვალვის გამო, შეუძლებელი გახდა ბალახის პრესის დამზადება, რომლის შემოტანაც ადგილობრივებმა ყვარლის და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებიდან დაიწყეს, მაშინ, როცა დედოფლისწყაროდან ჭარბი საკვები, თივის და ნამჯის ტუკების სახით, თავმობმული მანქანებით გადიოდა სხვა რეგიონებში. გახშირდა საქონლის დაცემის შემთხვევები.

მიუხედავად იმისა, რომ ხორბალი შედარებით უძლებს სიმშრალეს, განსხვავებით მზესუმზირისგან, რომელიც ერთ-ერთი წამყვანი კულტურა იყო დედოფლისწყაროში, ორივეს მოსავალიანობა(ბოლო წლების მაჩვენებლებით) 1 ჰა-ზე შემცირებულია მეორე პერიოდში: ხორბლის - 7%-ით და მზესუმზირის - 24%-ით. მიმდინარე წელი კი ნამდვილად კატასტროფული იყო ფერმერებისთვის, რადგან 12 000 ჰა-ზე საერთოდ ვერ შევიდა კომბაინი, ხოლო ვინც მოსავალი მაინც აიღო, საშუალო მაჩვენებელმა 1 ჰა-ზე მხოლოდ200- 300 კგ შეადგინა. ფერმერები სათესლე მასალის გარეშე დარჩნენ, ანუ საფრთხე შეექმნა მომავალი წლის მოსავალსაც. განადგურდა მზესუმზირის ნათესებიც.

- ეს, ალბათ, ბოლო სამი თვის ნალექების სიმცირემაც გამოიწვია. ზოგადად, როგორია ბოლო წლების დაკვირვებების შედეგები, კონკრეტულად რა საფრთხეები არსებობს დედოფლისწყაროსთვის?

- ზოგადად, დედოფლისწყაროს რაიონში ბოლო 25 წლის განმავლობაში შეიმჩნევა საშუალო წლიური ნალექების (0.8%-ით) და ჰაერის ტენიანობის (3%-ით) ოდნავ მომატება. ეს მომატება თანაბრად არაა გადანაწილებული სეზონებზე და ზაფხულის სეზონზე 22%-იანი კლებაა. ამასთანავე, გაზრდილია თავსხმა ნალექიან დღეთა რიცხვი (დღეში 20 მმ-ზე მეტი ნალექი - 23 დღით და დღეში 50 მმ-ზე მეტი ნალექი 3 დღით). ერთ დღეში მოსული მაქსიმალური ნალექის რაოდენობა ბოლო 25 წელიწადში გაზრდილია 67%.

თავსხმა ნალექების ზრდა საგრძნობლად ამცირებს ნიადაგში წყლის ჩაჟონვის პროცესს, მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელი მძიმე მექანიკური შედგენილობის ნიადაგების, მონო-კულტურისა და ხშირი ხვნისაგან გაჩენილი ნიადაგის ქუსლის(თუ ნიადაგის ხვნა მუდამ (ბოლო 15-20 წელია) ერთსა და იმავე სიღრმეზე ხდება, სახნავი ფენის ძირი იტკეპნება და წარმოიქმნება ე.წოდებული ქუსლი, ანუ ნიადაგის დატკეპნილ-ჩაპრესილი ფენა. ქუსლი აფერხებს კულტურულ მცენარეთა ფესვთა სისტემის სწორად განვითარებას აქტიურ ფენაში, შესაბამისად კი ტენისა და მასში გახსნილი საკვების გამოყენებას სიღრმითი ფენებიდან) გამო. შედეგად გაიზრდება ჩამონადენი წყლის რაოდენობა ნიადაგის ზედაპირზე. ნალექებთან მიმართებაში ამ პროცესის გაგრძელების შემთხვევაში, რასაც აჩვენებს მომავლის პროგნოზი (ერთ დღეში მოსული ნალექთა მაქსიმუმი იმატებს ზაფხულში და შემოდგომაზე წლიური ნალექის ჯამის დაკლების

ფონზე) მოსალოდნელია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის საკმაოდ დიდ ნაწილზე ნიადაგსაფარის დამლაშების პროცესების მკვეთრი გაძლიერება, რასაც ხელს უწყობს მისი არახელსაყრელი მელიორაციული თავისებურება, კერძოდ, ნიადაგის სიღრმით ფენებში განვითარებული სულფატური მარილების (თაბაშირი, მირაბილიტი) შემცველი ნაფენები და სარწყავ პირობებში არაწესიერი, უკონტროლო რწყვა.

უნდა აღინიშნოს, რომ კლიმატის ცვლილებამ და ტემპერატურის მატებამ, ბოლო წლებში, საგრძნობლად შეამცირა სეტყვის შემთხვევები, რაც ჩაანაცვლა თქეშმა წვიმებმა, ამდენად, ზოგიერთი კულტურისთვის, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი ნაკლებად სარისკო გახდა.

ზაფხულის პერიოდში მომატებული ტემპერატურისა და შემცირებული ნალექების ფონზე, დედოფლისწყაროსათვის მნიშნელოვან რისკს წარმოადგენს გახშირებული გვალვები. 1986-2010 წლებში 11-ით მეტ ექსტრემალურ გვალვას ჰქონდა ადგილი დედოფლისწყაროს ტერიტორიაზე წინა 25 წლიან პერიოდთან შედარებით. ამ ცვლილებებმა

(გაგრძელება გვ.7)

ახალგაზრდობა და სუბკულტურა-ცხოვრების მიზანი თუ მოდა

ახალგაზრდობა ყველაზე ბედნიერი ხანაა ადამიანის ცხოვრებაში, ბავშვობის დასასრული და უფრო ხალისიანი პერიოდის დასაწყისი, ხანა, რომელსაც თავიდან შიშით შეჰყურებ, მერე კი იმდენად ლამაზ სამყაროში შეჰყავხარ, რომ ამ ეტაპის დასრულება აღარ გსურს ადამიანს. ცხოვრების ეს პერიოდი სავსეა თავგადასავლებით, სამყაროს შეცნობის სურვილით, რისკით, შეცდომებით, ცხოვრების ტკბილ-მწარე გაკვეთილებით...

ახალგაზრდობა დამოუკიდებელი ცხოვრების დასაწყისია და ამიტომ, ყველა ადამიანის მთავარი სურვილია, რომ საკუთარი თავის შეცნობის პროცესი დაასრულოს და ადგილი იპოვოს საზოგადოებაში, გახდეს წარმატებული, პოპულარული და მოდური... შესაძლოა, ბოლო სურვილი სასაცილოდაც კი მოგეჩვენოთ, მაგრამ ფაქტია, დღეს საქართველოში თითქმის ყველაფერი ამ ფრაზის გარშემო ტრიალებს... და მოდას ემორჩილება თვით სასაუბრო ენაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ ჩაცმის სტილსა თუ მუსიკალურ მიმდინარეობებზე.

„ბანძია“, -ამბობენ ისინი. „აუ რა ბანძია“, ან„ლაბუდა“, ან„გულისამრევი“. „ესენი“ თინეიჯერი გოგონები არიან, ლოს—ანჟელესის გარეუბანი, სან—ფერნანდო ველიდან. მათ„ველსს“ ეძახიან. თეთრები არიან, საშუალო კლასებიდან, მათ საუბარში მრავლადაა სიტყვები „გადასარევი“, „მაგარი“.1982 წელს ამერიკელ ახალგაზრდობაში დაიწყო „ველსს“-თან დაკავშირებული აჟიოტაჟი, მთელი ქვეყნის რადიოგადაცემებში ისმოდა„ორთოდონტთან წასასვლელი გოგონას სიმღერა“ (ორთოდონტი—სტომატოლოგია,რომელიც კბილებს ასწორებს).ვითარებამ ხელი შეუწყო როკ—მომღერლის ფრენკ ზეპის პოპულარობას.

სიმღერა ველსელი გოგონას შესახებ კალიფორნიის ქალაქების გარეუბნების ცხოვრების პაროდირება იყო. „ველსს“ - ეს არის„თავქარიანი, მაგრამ უწყინარი ყმაწვილი მომხმარებლები, მათი მუდმივი ამოცანაა ხარისხიანი პედიკური, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია „ფეხის კრემი“(Newsweek1982,Aug2). სიმღერა ველსელი გოგონას შესახებ არის სახუმარო პაროდია, მაგრამ კარგად გვიხსნის თუ რა არის კულტურა,მოცემულ შემთხვევაში სუბკულტურა. „ველს“ ემხრობა გარკვეულ ღირებულებებს, შეხედულებები სუპერმატერიალურია: არ უნდა ჩამორჩე მოდის უკანასკნელ კივილს; აიხსნება, რომ ის ნათლად წარმოაჩენს ამერიკელთა უმრავლესობის ინტერესებს: მატერიალიზმი, კონფორმიზმი, ახალგაზრდობის იდეალიზაცია. „ველს“ არის ამ ღირებულებებით განპირობებული გარკვეული მსოფლმხედველობა, მათ იციან, რა არის, „ბანძი“ და რა არის მოდის უკანასკნელი კივილი. ეს ამერიკული სუბკულტურაა, მკვეთრად განსხვავებული ქართულისაგან, სადაც ტრადიციები ქმნიდა კულტურას. „ჟარგონი“ საქართველოში ნეგატიურად აღიქმებოდა, მის წინააღმდეგ მთელი საზოგადოება ილაშქრებდა. მოდაში იყო ინდივიდუალიზმი. ეს იყო ქართული საზოგადოების არჩევანი, რა ხდება დღეს? მინდა, ერთი ახალგაზრდის აზრი შემოგთავაზოთ, რომელმაც ამჯერად ვინაობის გამხელა არ ისურვა:

„ერთი ჩემი ნაცნობი იძახდა — მაიკაზე D&G თუ არ ეწერება, ასეთ მაიკას არ ჩავიცვამო.

დავიშოკე. უკაცრავად და ციგნებთან მაიკას 5 ლარად ვიყიდი, ეწერება D&G და რა ამით? მეც ვიქნები ფეშენ სამყაროს ნაწილი? მე შემიძლია თავისუფლად მოვიტყუო, რომ 100 ლარად ვიყიდე ერთ-ერთ ცნობილ მაღაზიაში. ხალხი ბაზრობებსა და „second hand“-ში ყიდულობს ტანსაცმელს, თუმცა ამ ფაქტს ვერ ახმოვანებს ფართო წრეებში, რადგანაც მიუხედავად იმისა, რომ „second hand“-ში *ზოგჯერ უკეთესი ხარისხია ვიდრე ბაზრობებსა და მაღაზიებში, ეს მაინც “დაბალი დონეა“....*

უმრავლესობა მიდის მოდურ და ძვირადღირებულ მაღაზიებში და ყიდულობს ზუსტად იგივე პროდუქციას, რაც ბაზრობებზეა 3—ჯერ ან 5—ჯერ უფრო ძვირად. კი ვაღიარებ, რომ ზოგიერთ მაღაზიაში, მართლაც ნამდვილი ბრენდები და ხარისხიანი პროდუქცია იყიდება, მაგრამ, ძირითად შემთვევაში, მაინც იგივე ხარისხია, რაც ბაზრობებზე.

ახალგაზრდობის უმრავლესობა იცვამს მოდურ ტანსაცმელს უბრალოდ იმისათვის, რომ ცოტათი მაინც შეეხოს „ფეშენ“ სამყაროს. ამ დროს უხდება ამ ადამიანს ეს ტანსაცმელი თუ არა, მეორეხარიხოვანი საკითხია.

გახსოვთ, ერთ დროს თბილისში მოდაში შემოვიდა ღია ცისფერი ელასტიკები? ძალიან კარგად მახსოვს. ერთ კვირაში მთელი თბილისი ცისფერ ელასტიკებში იყო შემოსილი. დიდი თუ პატარა, გამხდარი თუ მსუქანი (!!). ძალიან სასაცილო იყო. ყველას უნდოდა, ყოფილიყო გამორჩეული, უნდოდა, ამ ახალი მოდის ნაწილი გამხდარიყო. შედეგი? შედეგი ის, რომ ყველა გახდა ერთნაირი და გამორჩეულობა არც იგრძნობოდა.

ბოლო წლებში ჩვენს დედაქალაქს თავს დაესხა იასამნისფერი. გოგოების, ბიჭების, ყველას საყვარელი ფერი გახდა იასამნისფერი. ყველა ყიდულობდა (ყიდულობს!!) იასამნისფერ „კურტკებს“, ჯემპრებს, ქუდებს, ხელთათმანებს, (ალბათ ამ წლებში ისამნებიც უფრო დიდი რაოდენობით იყიდება). თუმცა მედალს ორი მხარე აქვს. ჩემდა სასიხარულოდ, ყველას დაავიწყდა თბილისის „საყვარელი ფერი“ — შავი და გადავიდნენ იასამნისფერზე.

არავითარ შემთვევაში არ მინდა იფიქროთ, რომ დავცინი მოდას ან კონკრეტულად ვინმეს. არა! არა! არა! უბრალოდ მინდა აღვნიშნო, რომ ეს მოდა ზოგჯერ მარაზმში გადადის“.

არ ვიცი, რამდენად იზიარებთ ან ეთანხმებით ამ ახალგაზრდის შეხედულებებს, მაგრამ კარგია, როცა ვიღაც მაინც ხედავს თანამედროვე თაობის შეცდომებს და ამაზე ხმამაღლა საუბრობს, თუმცა პრობლემას აქაც ვაწყდებით - ის ანონიმურობასაა ამოფარებული. როგორც ჩანს, თავისი თაობის წარმომადგენლების რეაქცია აშინებს. კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც ახალგაზრდები ჯერ არ ლაპარაკობენ, ეს ვირტუალურ სამყაროზე მიჯაჭვულობაა. ნებისმიერ საკითხზე პროტესტს ისინი სოციალური ქსელების მეშვეობით აფიქსირებენ, ერთმანეთთან ცოცხალი ურთიერთობა კი მაქსიმალურადაა შემცირებული. საქართველოში ახალგაზრდობა ყოველთვის იყო შეუვალი და მტკიცე, როდესაც საქმე ეხებოდა მათი პრინციპების და იდეალების დაცვას. ასეთი მაგალითები მრავლად გვქონდა გასული საუკუნის პერიოდში და ახლა ამ მაგალითებზე აღარ შევჩერდები.

მაშინდელი ახალგაზრდების პრინციპები და იდეალები გაიგივებული და დაკავშირებული იყო ენა, მამული, სარწმუნოების მცნებასთან. მთელი ქართული ახალგაზრდობა იდგა ამ პრინციპების სადარაჯოზე. დღეს კი დადუმებულია ქართული ახალგაზრდობა და მხოლოდ ვირტუალურად ეხმიანება ერთმანეთს, თუმცა მათი ხმა სოციალური ქსელების მომხმარებელთა ნაწილს ესმის მხოლოდ, და არა მთელ ქართულ საზოგადოებას...

გასაგებია, რომ დროის ცვალებადობა კულტურის ფორმებზეც ხშირად აისახება, ხდება მათი სახეცვლილება, რომელსაც უფროსი თაობის ადამიანები საკმაოდ მტკივნეულად აღიქვამენ. ხდება სხვადასხვა სუბკულტურის შეჭრა და დამკვიდრება იმ საზოგადოებაშიც, სადაც ეს ტრადიციებისა და რელიგიის გათვალისწინებით მიუღებელია.

საქართველო ერთადერთი ქვეყანა არაა, სადაც „ტრადიციული ბორკილების“ მსხვრევას წინა თაობის წარმომადგენლები პროტესტს უცხადებენ, ან კრიტიკულად აფასებენ ინოვაციებს. ასე იყო სხვა ქვეყნებშიც. ბევრს ახსოვს ალბათ ჯგუფ „ბიტლზის“ გამოჩენა, რომელთა სიმღერა და ჩაცმულობა, გარკვეულწილად, პროტესტის ფორმა უფრო იყო, ვიდრე ახალი კულტურის და მუსიკალური მიმდინარეობის დამკვიდრების მცდელობა. დღეს ვითარება მკვეთრად შეცვლილია,

ბევრი მოდის გამო უფრო ხდება სხვა სუბკულტურის წარმომადგენელი, ვიდრე თავისი შეხედულებების დაცვის მიზნით. დღეს განსხვავებულობა ყველაზე უფრო მოდურია. ისე, სიმართლე თუ გაინტერესებთ, თანამედროვე სუბკულტურის მიმდევრებს ფასი აქვთ დაკარგული, ჟარგონულად რომ ვთქვათ, თავის დროზე ჰიპების პაციფისტობას და პანკების პროტესტს “მულამი“ ჰქონდა. ახლა კი, ეს ყველაფერი პოზიორობის დონეზე დავიდა. ადამიანი გოთია არა დეპრესიულობის გამო, არამედ სტილის გამო, ანალოგიურადაა ყველა სხვა სუბკულტურა. თანამედროვე თინეიჯერები ცდილობენ იყვნენ, ორიგინალურები და ამის გამო ხდებიან სუბკულტურების წევრები, რეალურად კი, როცა კონკრეტული სახელი: ემო, გოთი ან რამე სხვა გერქმევა, ზუსტად მაშინ ხდები ბანალური და ჩარჩოში ჩასმული.

თქვენ, თქვენ რას ფიქრობთ, ძვირფასო მკითხველო?

ინგა შიოლაშვილი

გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილების გავლენა სოფლის მეურნეობაზე

(მეხუთე გვერდიდან)

უარყოფითი გავლენა მოახდენა განსაკუთრებით მზესუმზირაზე, რომლის ფართობებიც 40%-ით შემცირდა და ზოგადად, ნიადაგის დეგრადაციის ინტენსიფიკაციაზე.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ქარები სიძლიერის მიხედვით მიეკუთვნება ძლიერი ქარების II ჯგუფს. წლის განმავლობაში გაბატონობელია ჩრდილო დასავლეთისა და დასავლეთის ქარები (57%), ხოლო თბილ პერიოდში - სამხრეთის. გაბატონებული ქარების საშუალო სიჩქარე 5-8 მ/წმ-ის ტოლია, დანარჩენი ქარებისა კი 1,5-2,5 მეტრის ფარგლებში მერყეობს. წარსულ პერიოდში მაქსიმალური სიჩქარის ქარების ანალიზმა აჩვენა, რომ ამ ტიპის ქარები და მათი სიჩქარე განსაკუთრებით მომატებულია გაზაფხულზე და ამ სიჩქარემ ბოლო პერიოდში 40 მ/წმ-ს მიაღწია. დაფიქსირებულია შემთხვევები, როდესაც გაბატონებულ ქარებს ძირფესვიანად მოუთხრია და გაუნადგურებია ასობით ჰექტარი საშემოდგომო და საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების ნათესები (გამოქარვა), წაუქცევია მარავალწლიანი ხეები, გაუნადგურებია ვენახის მოსავალი და ა.შ.

გასული საუკუნის სამოციან წლებში, მაღალი სიჩქარის ქარებისაგან სახნავ-სათესი ფართობებისა და საძოვრების დასაცავად გაშენდა 1 770 ჰეკტარზე (60 მ და 10 მ სიგანის) ქარსაფარი ზოლები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში ამ ქარსაფარების 99% განადგურდა, რასაც ხელი შეუწყო ენერგოკრიზისმა. შედეგად ქარისმიერ ეროზიას განიცდის 5 000 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესი ფართობები, რომლებიც აჟამად მიტოვებულია და არ მუშავდება. ქარსაფარების განადგურებაში, ენერგოკრიზისთან ერთად, დიდი წვლილი მიუძღვის ნაწვერალის გადაწვის უარყოფით პრაქტიკას, რომელიც, ქარსაფართან ერთად, აზიანებს ნაკვეთის სახნავი ზედაპირის სასარგებლო მიკროფლორას. სწორედ ძლიერი ქარისმიერი ეროზიის შედეგიცაა ის ფაქტი, რომ დედოფლისწყაროს ნიადაგების 89 000 ჰა განიცდის გაუდაბნოებას, (სხვადასხვა პროცენტით).

2009-2011წლებში რაიონში მიმდინარეობდა ქარსაფარი ზოლების აღდგენითი სამუშაოები, რაშიც მუნიციპალიტეტს ეხმარებოდა გერმანიის მთავრობა, ხოლო პროექტს, საქართველოს ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროსთან ერთად, ახორციელებდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) და ადგილობრივი თვითმმართველობა. პროექტში ასევე, ჩართული იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია, „რეგისტრირებული კავშირი- „აგრარული და გარემოსდაცვითი ასოციაცია“. თუმცა ეს ზღვაში წვეთია, ქარსაფარებთან ერთად, ძალიან აქტიურად უნდა მოხდეს ტყეების აღდგენა და ტყის კორომების გაშენება. კარგია, რომ ქვეყანაში დაიწყო სატყეო რეფორმა. ალბათ, ესეც თავის შედეგს მოიტანს. აუცილებელია სანერგეების მოწყობა და მწვანე ნარგავების გაშენება,სადაც კი ამის შესაძლებლობა იქნება,იმიტომ, რომ



მხოლოდ ამ გზით შევძლებთ გრუნტის წყლების ბალანსის დარეგულირებას, რომელიც სასმელი წყლის ერთადერთი რესურსია ჩვენი მოსახლეობისთვის. ივნის-ივლისის გვალვებმა უკვე დაგვანახა ის საშიშროება, რაც შეიძლება მოგვიტანოს გრუნტის წყლების შემცირებამ.

- თუ არსებობს გრძელვადიანი სამომავლო პროგნოზები?

- ბოლო 25-წლიან პერიოდში ყველა სეზონზე, ზამთრის გარდა, დაფიქსირდა ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმების მომატება (ყველაზე დიდი სხვაობით — ზაფხულში +30C), ამასთან ზაფხულში ექსტრემალურად ცხელი დღეების რაოდენობა (SU30) გაზრდილია 16 დღით, ხოლო ტროპიკული ღამეების (TR20) 5 დღით. ექსპერტთა პროგნოზის თანახმად, ეს ტენდენცია გაგრძელდება მომავალშიც და 2050 წლისათვის დედოფლისწყაროს ტერიტორია კიდევ უფრო ცხელი და გვალვიანი გახდება, თითქმის უცვლელი ნალექების ფონზე. კერძოდ, ტროპიკული ღამეები 3-ჯერ იზრდება.

ტემპერატურების ასეთი ცვლილებები, ტყეებისა და ქარსაფარების არარსებობის პირობებში, სავარაუდოდ, გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დიდ ნაწილზე (ელდარის ვაკე, დიდი შირაქის, პატარა შირაქის, ტარიბანას, პატარა ტარიბანას, ჯეირანის, კასრისწყლის, ნატბეურის, ნაგომარების, ჭაჭუნას ვაკე ტაფობების, მათთან მიმდებარე გორაკ-ბორცვიანი ზოლი) მიწების დეგრადაციისა და გაუდაბნოების პროცესების სტიმულირებას.

გაუდაბნოების პროცესების გაძლიერების, ნახევარუდაბნოებისა და უდაბნოს ლანდშაფტების არეალების შემდგომი გაფართოების პირობებში, მოსალოდნელია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზრდა-განვითარების შეფერხება, მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირება, ურწყავ პირობებში ნათესებისა და ნარგავების გამეჩხერება, ხოლო ხანგრძლივი გვალვის (ატმოსფერული) დროს მცენარეთა ხმობაც.

მეცხოველეობის სექტორში კლიმატის ცვლილების გავლენა განსაკუთრებით დაიკვირვება საკვების ხარისხის ცვლილებაზე. დედოფლისწყაროში საგრძნობლადაა შემცირებული საქონლის საკვები ძირხვენების დათესვა, სასილოსე კულტურების მოყვანა, ერთწლიანი ნათესი ბალახების და მრავალწლიანი ბალახების ფართობები. ბუნებრივი სათიბები აქ 22 000 ჰექტარიღაა. ამასთან, თივას ამზადებენ საშემოდგომო კულტურების ნაწვერალზეც. ამ შემთხვევაში დამზადებულ თივაში საკმოდ დიდი რაოდენობითაა შალაფას ბალახი, რომელსაც სხვა მარცვლეულ კულტურებთან შედარებით დაბალი ყუათიანობა ახასიათებს. შალაფა დომინირებს ნაწვერალზე, ვინაიდან მრავალწლიანია, გვალგამძლეა და აქტიურად ვითარდება ივლისაგვისტოში (როცა საშემოდგომო თავთავიანები უკვე აღებულია). აღსანიშნავია, რომ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით ურწყავ, ძლიერი გვალვის პირობებში იგი შეიცავს ჭარბი რაოდენობით ალკოლოიდებს და შესაძლებელია, გამოიწვიოს საქონლის ინტოქსიკაცია, რიგ შემთხვევაში ლეტალური შედეგიც. თივის მოსავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ზაფხულის ნალექებზე, რომელიც დედოფლისწყაროში შემცირებულია 22%-ით საერთო წლიური ნალექების ჯამის ოდნავი მატების ფონზე. ამგვარად, თივის ბიზნესი საკმაოდ სარისკო და არასტაბილური ხდება.

ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, მუნიციპალიტეტის გადასარეკი ტრასა 1 383 ჰექტარია, აქედან, დასასვენებელია 258.9 ჰა. ტრასის საერთო სიგრძე კი 159.4 კმ-ია. გვალვების გახშირება და გამკაცრება იწვევს პირუტყვის სასმელი წყლის წყაროების დებეტის შემცირებას, ხშირ შემთხვევაში გაქრობას. ასევე, სერიოზული პრობლემებია პირუტყვის გაბანებასთან დაკავშირებით, ისედაც მწირი ინფრასტრუქტურის გაუარესება, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს დაავადებების აფეთქებას და გავრცელებას, ტრასის მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის უკმაყოფილების ზრდას.

მუნიციპალიტეტში არსებული სოფლისპირა, საერთო სარგებლობის საძოვრები, ტრადიციულად, წარმოადგენენ უმნიშვნელო ფართობის მქონე ნაკვეთებს, რომლებიც მიმოფანტულია სოფლების გარშემო და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს პირუტყვის საკვებზე მოთხოვნილებას. ზამთრის პერიოდში, ეს ფართობები დიდი რაოდენობის ცხოველებით არის დატვირთული. ისინი, ძირითადად, კონცენტრირებულები არიან სასმელი წლის წყაროებთან. შესაბამისად, არ არიან არსებულ საძოვრებზე თანაბრად განაწილებულები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილი აქვს უკონტროლო ძოვებას და შედეგად გადაძოვებას. სათიბ-საძოვრებზე არ ხდება ნაკვეთმორიგეობა, დიდი ხანია, რაც არ ჩატარებულა მათი არც ძირეული და არც ზედაპირული გაუმჯობესება. გადაძოვების გამო ხდება საკვებად ვარგისი ბალახის გამეჩხერება, სუსტდება ბალახსაფარი, ნიადაგის ზედაპირზე ჩნდება მოშიშვლებული კერები, ძლიერდება საკვებად უვარგისი, სარეველა მცენარეები. შედეგად საძოვარი სუსტდება, მისი ნიადაგი ადვილად ექვემდებარება ეროზიულ პროცესებს.

სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს საკანონმდებლო ბაზის დაუხვეწაობა არსებული რესურსების დაცვის და ზედამხედველობის განხორციელების კუთხით.

- ალბათ, არსებობს ამ გასაჭირიდან გამოსვლის გზებიც. კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს?

- განსაკუთრებული ღონისძიებების რეკომენდაციის შემუშავების პროცესი მიმდინარეობს და ის, საკითხის სიმძაფრიდან გამომდინარე, საკმაოდ მრავალფეროვანი და ვრცელი იქნება. სულ მოკლე ხანში ხელთ გვექნება კონკრეტული ღონისძიებების ნუსხა, რომლის სწრაფი და ეფექტური განხორციელება შეამცირებს და, საბოლოო ჯამში, თავიდან აგვაცილებს მძიმე შედეგებს. ამ თემას ჩვენ აუცილებლად დავუბრუნდებით და ღონისძიებათა შესახებ ინფორმაციას მივაწვდით მოსახლეობას.

- ქალბატონო ანა, დიდი მადლობა . ძალიან საინტერესო საუბრისთვის. გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხა ვრცელი იქნება და იგი ძალისხმევასთან ერთად დიდ ეკონომიკურ ხარჯებსაც მოითხოვს. როგორც საუბარია, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ახალი მინისტრი ფართომასშტაბიან რეფორმებს გეგმავენ. ვნახოთ, ამ გლობალური პრობლემის მოგვარებისთვის, რა დაიგეგმება კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტთან მიმართებაში.

ნაირა გორაშვილი

ხსოვნა

ვეფხო ჩიბუხაშვილი

ჩვენო საყვარელო ძმაო, ვეფხო, გვენატრები და გვიყვარხარ ძალიან. განსაკუთრებით შენს მოხუც, საუკუნესმიღწეულ მამას, რომელიც 22 წელია, შენს გზას გამოსტირის, მაგრამ შენ დედასთან არჩიე ყოფნა, ალბათ იმიტომ, რომ შენს ავადმყოფობას დედა უფრო უმკლავდებოდა. ავადმყოფობით დაღლილო და დატანჯულო ძმაო, რა იქნებოდა, 28 წლის ვაჟკაცს ოჯახი მაინც დაგრჩენოდა, შენს შვილებს მოვეფერებოდით, მათზე მოვიკლავდით შენს სიყვარულს, მაგრამ არ იდარდო ძმაო, შენ დაგრჩა ხალხი, რომელსაც ყოველთვის უყვარდი და ემახსოვრები.

ძმაო, ვეფხო, 15 აგვისტოს შენი დაბადების დღეა. გილოცავთ საიუბილეო 50 წლისთავს. ვერავითარი დრო ვერ წაშლის შენს ხსოვნას ჩვენს გულებში. ღმერთო, ჩვენს ძმას დაუმკვიდრე ადგილი იქ, სადაც განისვენებენ მართალნი ამა ქვეყნისანი. კიდევ და კიდევ გილოცავთ დაბადების დღეს, ჩვენო ძვირფასო.

შენი საყვარელი მამა მიშა (ბუღდანა), **ძმა** დავითი, და ლიანა, **ძმისშვილები:** ნათია, ზინიკო, მიშიკო ჩიბუხაშვილები, **დისშვილი:** მამუკა ლაკაშვილი.

სოფელი არგოშიკი

ციცინო გონაშვილი, ბეჟან და ნანა მაჩაბლიშვილები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ და თანაგრძნობას უცხადებენ კაენი, თეა და მაკა ალადაშვილებს მეუღლის და დედის

მავრა მელიქიშვილ-ალადაშვილის

გარდაცვალების გამო

ინგა, ვანო შიოლაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ვეფხია თარაშვილს და მაია პოპიაშვილს მამის

ზურაბ თარაშვილის

გარდაცვალების გამო.

ზიზო, ტარიელ, ზაზა და ხათუნა ფიროსმანაშვილები ოჯახებით, ბაბულია ბიკაშვილი ოჯახით, ღრმა მწუხარებით იუწყებიან მამიდაშვილის

ზურაბ ილიას ძე თარაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

ჟიურისა და ხალხის რჩეული

იმ დღეს, კიკბოქსინგის გუნდ „ჩემპიონს“ ვსტუმრობდი. მოგეხსენებათ, გასულ თვეში დედოფლისწყაროელმა კიკბოქსინგელებმა „შავი ზღვის თასი“ მოიპოვეს და რეპორტაჟი მოვამზადე. ჩაწერები რომ დავამთავრეთ, ერთ-ერთი სპორტსმენი, ლევან წიკლაური, სადღაც მიიჩქაროდა. თამაზ ყარაგვეზაშვილს უნდა გამოვყოლოდით, ამიტომ მეც და ლევანიც მისი ავტომანქანით წამოვედით. ალ-

მოჩნდა, რომ ლევანს ელიას მთაზე ეჩქარებოდა. „მეგობრებს კარავი აქვთ გაშლილი და ფოტოებს იღებენ, მათთან მივდივარო“ გვითხრა და ელიას მთაზე დავტოვეთ, ჩვენ კი რედაქციისკენ გავეშურეთ. მაშინ ალბათ ვერც წარმოვიდგენდი, რომ იმ დღეს გადაღებული ფოტო გამარჯვებულის სტატუსს მიიღებდა და სულ მალე მასზე მასალის მომზადება მომიხდებოდა. ასე იყო თუ ისე, სულ რაღაც ორ კვირაში მათ მიერ გადაღებული ფოტო გამარჯვებულად გამოაცხადეს.

საბოლოო ჯამში, დედოფლისწყაროელი ახალგაზრდების ფოტო-ნამუშევარი მინერალური წყალი „ლიკანის“ კონკურსში „Likani Summer“ გამარჯვებულად დასახელდა. როგორც კონკურსის ორგანიზატორები აცხადებენ, ხალხის რჩეული ფოტოს ავტორს საჩუქრად ფოტოკამერა Canon 60 D გადაეცა. დაჯილდოების ცერემონია თბილისში გაიმართა.

ფოტოს ავტორი 18 წლის დედოფლისწყაროელი ფოტო-ხელოვანი დავით ჯინაშვილია, ხოლო, გამარჯვებული ფოტო ხორნაბუჯის ციხეზეა გადაღებული და მასზე სპორტსმენი ლევან წიკლაურია გამოსახული. ორივე მათგანი სპორტულ კლუბ „ჩემპიონში“ ვარჯიშობს.

საკონკურსო წესების მიხედვით, ფოტოზე მინერალური წყალი ორიგინალური ფორმით უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი. ამისათვის დავით ჯინაშვილმა ელიას მთა და ხორნაბუჯის ციხე შეარჩია. ამბობს, რომ 300-ზე მეტი ფოტოს გადაღება მოუხდა, საიდანაც ერთი ამოარჩია და არჩევანი ხორნაბუჯის ციხეზე შეაჩერა.

დავით ჯინაშვილი: „ჩემი ფოტო ჟიურის რჩეულიც გახდა და ხალხის რჩეულიც. უზომოდ დიდ მადლობას ვუხდი ყველას. პასუხი ჩემი დის დაბადების დღეზე შემატყობინეს და ასეთი ბედნიერი ჩემს დაბადების დღეზეც არ ვყოფილვარ. ფოტო კონკურსის შესახებ ინტერნეტით შევიტყვე, ბევრი კონკურსი ცხადდება, განსაკუთრებით ზაფხულში, მაგრამ რატომღაც ამან დამაინტერესა და მონაწილეობის მიღება გადავწყვიტე. გამორჩეული იმითაც იყო, რომ ჟიური ჰყავდა და მხოლოდ ე.წ. „ლაიქებზე“ არ იქნებოდა დამოკიდებული და ამან სტიმული მომცა. რთული გზა იყო, მაგრამ ბევრი ადამიანის დახმარებით, შევძელით წარმატებით დაგვეძლია.

- ვიცი, რომ რამდენიმე ადგილას იღებდი, ვიზუალურად როგორ უნდა გადაგეღო თავიდანვე დაგეგმე, თუ ექსპრომტად განვითარდა?

- ძირითადი თემა ზაფხული და მოგზაურობა უნდა ყოფილიყო. ამიტომ თავდაპირველად გადავწყვიტეთ, ელიას მთაზე გადაგვეღო და მოქმედება კარავთან განვითარებულიყო. ასეც მოვიქეცით. ბევრი გადავიღეთ, მაგრამ საუკეთესო კადრი, რატომღაც, ვერ ამოვარჩიეთ. შემდეგ ხორნაბუჯის ციხეზე გადაღების იდეაც დაიბადა, ვფიქრობდით, რომ ესეც ერთ-ერთი გამორჩეული და ლამაზი ადგილია. ძალიან ბევრი მეგობარი გამომყვა, კარავიც გავშალეთ, 300-ზე მეტი ფოტო გადავიღეთ. ჩანაფიქრი არ გვქონია, რომ აუცილებლად ასეთი უნდა გადაგვეღო, რამაც საბოლოო ჯამში გამარჯვება მოგვიტანა... ეს ყველაფერი ექსპრომტად განვითარდა. ელიას მთის მსგავსად, ხორნაბუჯის ციხეზეც თავდაპირველად კადრში კარავი ჩანდა, მაგრამ სულ სხვა ვითარება აღმოჩნდა, ჩვენს ხედვაში კარავი აღარ ჯდებოდა. ამიტომ, მე და ლევანმა ერთდროულად მოვიფიქრეთ, მოგზაურის ფორმაში გადაგვეღო სამხედრო პირი, რა თქმა უნდა, გამაგრილებელ სასმელთან ერთად. ბოლოს ეს ერთი შევარჩიეთ და გავგზავნეთ.

მეგობრებიც მაქსიმალურად გვერდში გვედგნენ, ატრიბუტიკით თუ იდეებით გვამარაგებდნენ. სხვა ადილებში გადაღების იდეაც გვქონდა, მოგეხსენებათ, დედოფლისწყაროს არწივის ხეობის სახით ერთ-ერთი ულამაზესი ადგილი აქვს, ვფიქრობ, იქაც ლამაზი გამოვიდოდა. თუმცა, კონკურსის ვადებში შეზღუდული ვიყავი, ხორნაბუჯის ციხეზე გადაღებები რომ გვქონდა, მომდევნო დღის ბოლოს ფოტოსურათების მიღების ვადა იწურებოდა და ველარ მოვახერხეთ არწივის ხეობაში წასვლა.

- მხოლოდ ერთი ფოტო გადაგზავნე, თუ რამდენიმე და გულწრფელად რომ გვითხრა, რა მოლოდინი გქონდათ?

- წესების მიხედვით, სხვა ვარიანტის გაგზავნის უფლება არ გვქონდა, ერთი უნდა შეგვერჩია, ამიტომაც მხოლოდ ეს ფოტო გავგზავნე.. როგორც გაირკვა, 900-მდე ფოტო მონაწილეობდა. ჩემს ადგილას სხვაც შეშინდებოდა, რადგან ნამდვილად დიდი კონკურენცია იყო. ერთ-ერთ კონკურსანტს თავისი შემოქმედებითი ფეისბუქ გვერდი ჰქონდა, რომელსაც ძალიან ბევრი მოწონება აქვს დაგროვებული და ამ ფაქტმა შეგვაშინა, რომ, მას „ლაიქებით“ მოგება თავისუფლად შეეძლო და შესაძლებელი იყო, მისი რეიტინგი ვერ დაგვეძლია. ღმერთის წყალობით და ყველას დახმარებით, შევძელით. ლაიქებით პირველ ადგილზე გავედით და მეორე ეტაპზე ჟიურის გადაწყვეტილება რჩებოდა და აქ ყველაფერი უკვე იღბალზე იყო დამოკიდებული.

- უშუალოდ, როგორ შეიტყე, რომ კონკურსში გამარჯვებული გახდი?

- პასუხები შუადღის ორი საათისთვის უნდა გამოქვეყნებულიყო და მთელი დღე მოუთმენლად ველოდი. ყოველ წუთში ვამოწმებდი მათ საკონკურსო გვერდს ინტერნეტში. თუმცა, რატომღაც აგვიანებდნენ და ვნერვიულობდი. შემდეგ მეგობარმა ტელეფონზე მომწერა, გილოცავო და ვერ დავიჯერე. შემდეგ, თავად შევამოწმე და მართლა გამიხარდა, ბედნიერებისგან ვყვიროდი, ოთახში ვხტუნაობდი... ენით ვერ გადმოვცემ იმ ემოციას...

- რა მოგცა ამ გამარჯვებამ და რის შესაძლებლობებს მოგცემს კონკურსის მთავარი პრიზი?

- კარგი საჩუქარი მივიღე, ყველანაირი გაგებით ძალიან კარგი კამერაა. გულწრფელად რომ გითხრათ, იმხელა შესაძლებლობები აქვს, ჩემთვის ზედმეტიც არის... რამდენიმე დღეა, რაც გადმომცეს და გადაღებები დავიწყე, ახლა ვითვისებ მის მენიუს, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ბედნიერი ვარ, რადგან ამ კონკურსმა შესაძლებლობა მომცა, კამერა მომეგო და ყველანაირად ვეცდები, ჩემი შესაძლებლობები გაუმჯობესდეს. აქამდე „ნიკონის“ ფირმის აპარატი მქონდა, ეს კი „ქენონია“. ძალიან განსხვავდებიან, სულ სხვა შესაძლებლობებს და ხარისხს იძლევა. იმ აპარატზე უკვე მიჩვეული ვიყავი, ამას ახლა ვითვისებ. ფაქტია, რომ უფრო მეტი ტექნიკური შესაძლებლობა მაქვს, რომ ამიერიდან კადრი უკეთესად და ხარისხიანად დავაფიქსირო.

- ფოტოების დამუშავებაც თავად შეგიძლია?

- ე.წ. „ფოტოშოპი“ კარგად არ ვიცი, ახლა ვსწავლობ. შეიძლება ითქვას, მინიმალურად ვიცი და ამ საქმეში ჩემი მეგობარი ნიკა პაატაშვილი მეხმარება, ისიც გატაცებულია ფოტოხელოვნებით და შეძლებისდაგვარად მასწავლის.

- მოდი პირველი ნაბიჯები გაიხსენე, რატომ გაგიტაცა ფოტოხელოვნებამ?

- 2 წლის წინ ბებიას და პაპას გადავეკიდე, დაბადების დღეზე ფოტოაპარატი მიყიდეთ-მეთქი. არ ვიცი რატომ, მაგრამ ძალიან ავიჩემე... შემდეგ მათ პატარა, სამოყვარულო კამერა მიყიდეს და ასე დავიწყე გადაღებები. თავდაპირველად ყვავილებს, მწერებს ვაფიქსირებდი... ნელნელა შემიყვარდა ეს პროცესი, თითქოს ფოტოებს როცა ვიღებდი, სულ სხვა სამყაროში ვიყავი და ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა, ახლაც ასე ვარ... შემდეგ ის აპარატი გამიფუჭდა, სხვა შევიძინე, მას გაცილებით მეტი ტექნიკური შესაძლებლობები ჰქონდა. პეიზაჟების გადაღებაზე გადავედი და ამან უფრო შემაყვარა ეს საქმე... ნელნელა მეტი და მეტი მინდოდა...

- სამომავლოდ რა გეგმები გაქვს, ხომ არ აპირებ ეს საქმე შენს ძირითად პროფესიად იქცეს?

- ამ კუთხით გაგრძელებაზე ვფიქრობდი, მაგრამ როგორც იცით, საქართველოში რატომღაც დაუფასებელია და მგონია, რომ არ ღირს მთელი ყურადღება ფოტოგრაფიაზე გადავიტანო. დღევანდელ რეალობაში კამერის ყიდვის შესაძლებლობა თითქმის ყველა ოჯახს აქვს და ბევრი თავად იღებს, ამდენად, კონკურენციაც ძალიან დიდია. ვფიქრობ, სხვა პროფესიას გავყვები და პარალელურად ამ საქმიანობასაც გავაგრძელებ“.

ლევან წიკლაური: „ერთად ვიყავით მეგობრები, როცა დათომ ამ კონკურსის შესახებ გვითხრა, გადაღებას ვაპირებო. თუმცა, დაამატა, დიდი კონკურენცია არის და უიმედოდ ვარო. იდეა ძალიან მომეწონა და მეც მოვინდომე, რომ გადაგვეღო და კონკურსში ჩავრთულიყავით. წავედით, ბევრი გადავიღეთ და ფაქტია, რომ გამორჩეული ფოტო გამოგვივიდა. სპორტის პარალელურად სასაზღვრო პოლიციაში ვმუშაობ და სამხედრო ფორმაში ყოფნა ჩემთვის ჩვეული ამპლუა იყო. თავიდან გამარჯვებას არ ველოდი, მაგრამ როცა სხვა კონკურსანტების ფოტოები დავათვალიერე, გამარჯვების შანსები დავინახე, რადგან ფოტო, რომელზეც მე ვიყავი, სხვებისგან განსხვავებით, კონკურსის თემას ყველაზე მეტად პასუხობდა. ბოლო პერიოდში გამარჯვების მოლოდინი მქონდა და მეგობრების, რიგითი დედოფლისწყაროელების დახმარებით, გამარჯვებას მივაღწიეთ და ბედნიერები ვართ. ყველა დედოფლისწყაროელს მადლობა გვინდა ვუთხრათ გვერდში დგომისთვის“.

ილია მარტყოფლიშვილი

ულოცავენ!

მზია სეხნიაშვილს!

ტარიელ ნატროშვილს!

ჩვენო ძვირფასებო, გულწრფელად გილოცავთ უმცროსი ქალიშვილის-ნათიას ქართული ტრადიციული ადათ-წესებით ოჯახის შექმნას. ახალდაქორწინებულ წყვილს-ნათიას და რეზის ვუსურვებთ უსაზღვრო სიყვარულს , სიხარულს და ბედნიერებას. მუდამ ისე უყვარდეთ ერთმანეთი, როგორც დღეს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

პატივისცემით

დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა მუნიციპალიტეტის ორგანიზაციის სახელით: ვანო ნატროშვილი, ნანა ჭიჭინაძე, ლია ჩოქური, ნანა საზიაშვილი, ქეთინო ნოზაძე, ხათუნა აგლაძე და სხვები.

ყურადღება!

გვესაჭიროება გამოცდილი გამყიდველი სუპერმარკეტში მისამართზე: ნიკორციხის ქუჩა N 39, დილის 8 საათიდან საღამოს 10 საათამდე. ანაზღაურება შეთანხმებით. მსურველებმა დარეკეთ

571 04 92 92;
591 94 16 80;

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 18.08		სამშაბათი 19.08		ოთხშაბათი 20.08		ხუთშაბათი 21.08		პარასკევი 22.08		შაბათი 23.08		კვირა 24.08	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
35 °	28 °	37 °	30 °	37 °	30 °	36 °	29 °	35 °	28 °	33 °	26 °	32 °	26 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.